

გაზეთის ფასი:

გაზეთი თვეში	ბაზუგაზეთი:	ბაზუგაზეთი:
და გარეშე ადგილებში:		
ქრისტიანობა — 7 მან.	— — — 6 მან.	
10-ის თვისა — 6 —	— — — 5 —	
ნახევრის წლისა — 4 —	— — — 3 —	50 კ.
სამის თვისა — 2 —	50 კ.	— — — 2 —
საღვთო წიგნის გაზუგაზეთი — 3 შაური.		
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევებით.		

დროება

ხალის-მოწარა მიიღება:

თბილისში „დროებას“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამა, სტამბაში, ბალაივის პროსპექტზე, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В Тифлисе. Въ конторѣ редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივად ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციისათვის.

ხელის-მოწარა „დროებაზედ“ ყოველთაგანს მიიღება. ამ გაზეთის დაბეჭდვა შეიძლება პირველისავე ნუმარდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროებას“ ხელის-მოწარას, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუტიათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინა-არსი: თბილისი, 18 ნოემბერს. შინა-ლოცად დამტკიცებული წეს-დების ასრულებას მოყვანებაზე. თბილისის ბუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლისაგან. ბუნების მეცნიერება და იმისი დიდი ღვაწლი ხალხის განათლებისთვის. პოლიტიკა. — ასტრია. — დანია. — იტალია. — ამერიკა. ტელეგრაფები. მმართველობის განკარგულება: — ამისა, რომელიც ასრულებს მოიყვანს უმაღლესად დამტკიცებულ წეს-დებს-ქალაქის თბილისის ქალაქის საზოგადო სამმართველოზედ. — ბრძანება ქვეყნის ნამდგომარეობისათვის. — ფული ბიბლიოგრაფიული ცნობა. პერძობითი განცხადება.

„დროების“ რედაქცია საჭიროთ რაცხს თავის მკითხველებს გამოუცხადოს, რომ დასაწყისითვე ეს გაზეთი გამოდის და იგზავნება თავისი დროს: რა ნომერიც ფიქრით სხვა და სხვა მხარეს მიდის, ყოველთვის წიგნში თვლით იწერება და ფიქრამტს ხელ-წერილით პირადება. როგორც გვესმის, საზოგადოთ ყველას მისდის. მრავალ-სამჯერ კი ყური მოგვჭარბო, ვითომც ზოგიერთს ხან და ხან ნომრები აკლდებოდეს. ამისთვის რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ჩვენს მკითხველებს, ამ გვარს შემთხვევაში დროით აცნობონ ხოლმე იმას წიგნით, რომ იმან თავისი მხრით ღონისძიება მიიღოს ხოლმე.

საზოგადოება წავიდეს წინ, და მიიღოს ის, რაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებას ბუნებით დანიშნული.

გაზეთის პროგრამა დაჩვენა ისევე, რომელიც იყო გამოცხადებული წლებულს. ჩვენ თვითონვე ვაღიარებთ, რომ იქნება ბევრი რამ არ ავასრულებთ, რაც დავპირდით მკითხველებს; მაგრამ იმითი ვიმართლებთ თავსა, რომ ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცვლილებანი მოხდენ, რომელთაც დავიშალეს ჩვენს პროგრამის სრულათ ასრულება. ამასაც კი ვიტყვით, რომ ჩვენ, ჩვენის მხრით, მეცადინება არ მოგვეცლია; მაგრამ ამისი განსჯა თითონ მკითხველებისთვის მიგვიწია. მსეც უნდა გამოაცხადოთ, რომ ამის შემადგე „დროებაში“ ხშირათ იქნება იმისთანა სტატიები, რომელნიც ჩვენს ქვეყანას შეეხებოდა. მომავალს წელიწადში დაიბეჭდება გრცელი სტატია: **პამპასია**, ანუ ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული (*) ცნობები ამ მხარეზედ. ის ეკუთვნის „დროების“ თანამშრომელს დიმიტრი ბაქრაძეს.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევებით, ერთი თაბანიდამ თავს ნახევრადღე.

ფასი მთელის წლის ნუმარდისა არის: გაუგზავნელათ თბილისში 6 მანეთი, გაგზავნით თბილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწარა მიიღება თბილისში, „დროებაში“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამა სტამბაში, ბალაივის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთ ეთხოვთ უმორჩილესად, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

В Тифлисе. Въ конторѣ редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-о.

(*) მთარგმნა ბერძნული სიტყვა და ნიშნავს ხალხის ჩვეულების აღწერას.

განცხადება

საკონსტიტუციო და სალიტერატურო

გაზეთის „დროებას“ გამოცემაზე

1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდის 1866 წელს.

თუმცა „დროებაში“ რამდენჯერმე წარმოვსთქვით ჩვენი აზრი, რა მნიშვნელობა და გავლენა უნდა ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაზედ გაზეთს და ჟურნალს, მაგრამ ვალათა ვრაცხთ ესთქვით კიდევ რამდენიმე სიტყვა ამ საგანზედვე.

სხადია ყველასთვის, რომ დრო იცვლება. ბევრი რამ, რაც ჩვენის მამა პაპებისთვის იყო საჭირო, ახლა იმათის შთამომავლობისთვის გამოსადეგი აღარ არის. ჩვენ თვითონ დამსწრენი ვართ, რომ ზოგიერთი რამ, რაც საჭიროთ მიგვანდა, ის ჩვენ დროს უფარგისათ მიაჩნიათ და ჩვენც თავი დავანებეთ. ეს არის ბუნებითი კანონი კაცობრიობის მოძრაობისა და ამ კანონს ვერ წაუვა ვერც ერთი ხალხი, რომელზედაც კი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილათ სცხოვრებს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ დავსტოვოთ ყოველივე უფარგისი ჩვენს ცხოვრებაში, რაც კი გვიშლის, რომ ნამდვილს განათლების გზას დავადგეთ და დავახლოვდეთ იმ ხალხს, რომელიც ჩვენზედ წინ არის და ვისგანაც გვმართებს მივიღოთ ბევრი სწავლა.

აი ჩვენის ფიქრით როგორი აზრი უნდა ჰქონდეს ყოველს გაზეთს და ჟურნალს, რომელიც კი დაიწყებს ამ დროს თავის შრომას. ამის გარდა ახლანდელს გაზეთს და ჟურნალს უნდა ჰქონდეთ ის მნიშვნელობა, რომ ნათელის გარკვევით გაადვილონ ყველა ნამდვილი და კანონიერი სურვილი და საჭიროება. ბგრეთვე იმათ უნდა უჩვენონ საზოგადოებას უნდა თუ არ არის საჭირო, ან როგორ და რა რიგით მოიპოვონ და გამოიყენონ ეს საჭიროება, რომ

თბილისი, 18 ნოემბერს.

„დროების“ 37 №-ში ჩვენ შემოვიტანეთ კორესპონდენცია თიანეთიდან. კორესპონდენტმა აგვიწერა ერთი სწეულება, რომელიც იშვიათი არ არის იმერეთის მხარეს და რომელიც წლებადდელს ზაფხულს მოუწენილი ყოფილა მთელს შიდასაფეთში. იმან პირველათ გვიამბო, რომ ეს სენი შარშან ძალიან იყო საშურზაყანოში. მკვი არა გვაქვს, რომ კორესპონდენცია შეაფიქრებს „დროების“ მკითხველს. ჩვენი სურვილი ეს არის, რომ ამ გვარი ცნობები ხშირათ იყოს ხოლმე გაზეთში. ჩვენ გვესმის, რომ წელს ადგილ-ადგილ სიტყვამ დიდათ დაზარალა მოსავალი, ვახსნის ნაჭარი და ჭიის სწეულება გაძლიერებულა. რატომ არაინ რას იწერება ამაზე მთავაქცევთ

ამ საგანს მკითხველების ყურადღებასა. ამათში ბევრს დროცა აქვს და ღონისძიება, რომ სხვა და სხვა მხარიდან სხვა და სხვა მოვლინებაზე ბუნებაში, თუ ცხოვრებაში, ცნობები მოგვეცნ ხოლმე. მართი ეს, რომ ამ გვარა ცნობები, როგორც წინათაც გვითქვამს, გაზეთს გააცხოველებს, მეორე ეს, რომ რედაქციას მიეცემა შემთხვევა, სწავლისაგან მოპოებული საფუძვლით გაჩხრიკოს, გაარკვიოს ეს საგანი იქნება, თუ ისა.

მაგალითად, აი იმ საგნისაგან, რომელიც წასულს ნუმარდია... კორესპონდენტი საფუძვლიანათ ამბობს, რომ უმრავლესათ არა არის რაო. ჩვენში და საზოგადოთ ყველგან გაუნათლებელი ადამიანი თითქმის ყოველს სწეულებას მიაწერს შემთხვევას და წეთის

ფული.

I.

სულ ფული და სულ ფული..

საითაც მივიხედვ, მისაც კი რამე გვიჩვენა...
შველგან ფული! სულ ფული!
ბევრი ახტი და ჩახტი,
და ჯიბე ცარიელი
მერაფერი ვერ გახდი...
სულ ფული და სულ ფული!

II.

შულო! რას არ ჩადიხარ!
სასწაულო მომკმედი ხარ!
რად მეთქმის, საწყალსა,
მზედაც რა შენს ძალსა,
რომ ასე ატრიალებ
ძაცსა ვით ბზრიალსა.
დაიგდეს, ფული, თვალი,
რომ შენს სიყვარულსა,
ძაცი გინდა თუ ქალი
სწირავს თავისა სულსა.

რა ქნან? რას არ ჩადიხარ?

მთელთ მაცდური რამა ხარ!
შენსა შენ ალაშაზე,
მალამ თვალსა უსწორებ,
ბაუზელს ხდი გაზდილად,
და ბებერს ახალგაზდად.
მაგ შენსა შუქის ძალსა
ბევრი რამ შეუძლიან:
შენთვის ტალაში წოლას
ბევრი შეჩვეულია.
მისაც ადგია შენი
მღვარების გვირგვინი,
აბა, კაციც ის არის,
ძვირფასი, სანატრელი.
მინ კითხულობს: ვინ არის?
მტრია, თუ მცარცელი?..

III.

შულო, ფული, ფულბო!...
თუ კი ბლომად გაქვთ ესა,
არ მებრალვით ქალებო,
მაღე იშოვნით ქმრებსა.

IV.

შულო, ფული, ფულბო!...
თუ თქვენც ბლომად გაქვთ ესა,
მაშ რა გიჭირთ კაცებო?
თქვენც გიკაზვენ ქალებსა.
იმისთვის თქვენ ნუ სწუხართ,
ახალგაზდა რომ არ ხართ,
და თამში გაქვთ ქალარა,
ზოგან კილი აღარა...
რომ ხართ თქვენ გაუზღვნი,
შენა და კეთა თხელნი...
თუ ბლომად გაქვთ ფულბო,
ბებერს დარჩება თვალები
მაგ თქვენ მოტელვით თაფზე
და გატენილ ჯიბეზე.
თუ ჯიბეში ფულია
ძობტა ქალიც თქვენია!
მინ ხედავს თქვენს წამბარ გულს
თქვენს სენილის დაკარგულს,
ან თქვენ გარყვნილობასა,
ლჟსა და...
ჯიბეში თუ ფულია

თუ ჯიბეში ფული გაქვთ,
რა საყვარლები რამ ხართ!
თუ გინდ იყოთ ელაშიც,
მიგრებოლ-მოგრებოლიც;
ამით ნუ შესწუხდებით;
და ფერთი, უმარლით,
ან სხვა წასამელებით
ტუთულად ნუ ითხუანებით.
სარკში რას უყურებთ!..
თქვენი სარკე ჯიბეა,
ჯიბეში ჩაიხედეთ,
და თუ ჯიბე საესა,
ნურათვის გენაღვლებათ.
თუ კი არის ფულბო,
საუთათო მზითვები,
მაღე გამოუჩნდება
მაგ თქვენს ელამს თვალსა,
და მიგრებოლ საესა
მხურაველ მიჯნურები,
ზახრეკილი მუხტრები
სხვისა და სხვის გვარისა,
ხარისხის და რჯულისა.

რისხვას. ეს ასე არ არის. ბუნებაში ყოველ-
ფერს აქვს თავისი კანონები, თავისი მიზე-
ზი. — მეცნიერებამ ეს კარგად გამოიძი-
ა და კარგად შეიტყო. მაგრამ ბუნება და
თვით ჩვენი აგებულება და ცხოვრება
იმან სარკესავე გვიჩვენა, ასე რომ ახლა ადა-
მიან შეუძლიან თითქმის ყოველივე თავის
სასარგებლო მოიხმაროს და რაც იმისთვის
მანებელია, ის თავიდან აიცილოს. აგრეთვე
სწეულების გამო: რა სენი რისგან წარმო-
დგება, რა არის იმისი მომსახური ღონისძიება.
შესაყარს სენებს დიდ-ძალი მსხვერპლი მი-
აქვს. იმათი მიზეზია დამალი ჰაერი, სიცივე,
შიშნო, უწმინდური ცხოვრება, ცუდი სა-
დგამი, ცუდი საქმელი, ყოველივე უზომო-
ბა სწეულის შრომაში, გონების შრომაში, სა-
ქმელ-სასმელში. ზადამდები სენი ხშირად ერ-
ცელდება უფრო დამალი ხალხში. ეს ასეც
უნდა იყოს: დამალი ხალხი უფრო უმეცარია,
უფრო არ უფთხილდება თავს, უფრო უწმინ-
დურად ცხოვრებს.

რამდენათაც უმეცარია ხალხი, რამდენათაც
ნაკლებად უფთხილდება ის თავსა, იმდენათ
ის მცირე ხანს ცხოვრებს და მომეტებული
იხრება. ამასვე მრავალი ფაქტია შეგრო-
ბული სტატისტიკის შემწეობით. აი რას გე-
ამბობს ერთი განთქმული დოქტორი; მსტერ-
ლენი. „სტატისტიკა განჩიკა, გარკვეა, გა-
მოიანგარიშა მრავალი სწეულება და სასიკე-
დილო შემთხვევა სხვა და სხვა წლოვანება-
ში, დახალის კლასებში, სხვა და სხვა წლის
დროს, სხვა და სხვა სახელმწიფოებში, ქვეყ-
ნებში, ქალაქებში, ქალაქების ნაწილებში, სო-
ფლებში და სხ. სტატისტიკით შევიტყუეთ, რას
რა გავლენა აქვს სიმრთელებზე, სწეულებზე,
მომაკვლეებზე, სტატისტიკით მივხედით ცოტ-
ოტათ, საფუძვლიანად, თუ რა არის უმთა-
ვრესი მიზეზები სწეულებისა და სიკვდილისა
და აგრეთვე, რა არის უმთავრესი კანონები
სიცოცხლისა და სიმრთელისა. რაც რომ სწე-
ულთ განხრეკისაგან სტატისტიკამ ცნობა შე-
იძინა, ამ ცნობას მოვიხმარებთ სასარგებლო
ცოცხალთა და მრთელთა. აი როგორ შევი-
ტყუეთ ჩვენს ცხოვრებაში, რაც მრავალი რამ
მანებელია, რასაც უწინ ვერც მიხვდებოდნენ
და ვერც გრძნობდნენ.

„სტატისტიკამ დაგვიჩვენა—ამბობს ისევ
ის დოქტორი,—რომ მუშები, ხელოსნები,
და სხ. საშუალო გამოანგარიშებით ცხო-
ვრებენ ოცდა ხუთის წლიდან ოცდა ათამდე.
მაშინ როდესაც შემდეგ ხალხი, უმაღლესი
კლასის ცხოვრებას იკრძალავდა ათიდან სამოც
წლამდე, სამღვდლონი კი—სამოც და ექვსი-
დამ—ათხმომც წლამდე. ქალაქებში, სადაც
დიდ-კაცობა და მდიდარი იყოფებოდა, ყო-
ველ-წლივ ერთი ძლივს კედება სამოცის კა-
ცის რიცხვიდან, და სადაც ღარიბი იყოფე-

ბიან—იქ კედება ერთი ოც და ხუთიდან და
თხუთმეტადამ. ირლანდიაში მარტო სახადის
მსხვერპლად ხდება მეთექვსმეტი წელი, ანგლიაში
კი—მესამოცე წელი. —ძველად, ფარაონე-
ბის და რომაელების დროს, მეცნიერებმა ჩი-
რი იყო. შირი გამოჩნდა, როდესაც თურქებ-
მა ეს მხარე დაიპყრეს და ხალხის უბედურე-
ბა და სიღარიბე გაძლიერდა. შემდეგ, რა კი
მეცნიერებმა, უკანასკნელის ფაშის დროს, განთა-
ვისუფლდა და ხალხის მდგომარეობა და მი-
წის მეურნეობა უკეთესობაში შევიდა, ჩი-
რის წყადა. საშუალო საუკუნეებში, ჩვენს ქვე-
ყნებში და ქალაქებში, ხშირად იხრებოდა
მეოთხედი წელი და ნახევარიც ჰქონდა
და „შავის სიკვდილისაგან“, ესე იგი გაძლი-
ერებული სახადისაგან. იმ დროს, რომელ-
საც სრულებით უსაფუძვლოდ აქებენ, აწინ-
დელს საუკუნემდე იშვიათად გაივლიდა ხუ-
თი წელი, რომ არ ყოფილიყო ან ომიანობა
ან შიმშილი. ცხოვრება დაბალის ხალხისა-
შინ ბევრით უფრო ცუდი იყო, ვინამც ახლა.
ხალხი ცხოვრებდა ნოტიო მიწაზე, ხშირად
ქაობებში და ტყეებში, ვიწრო სახლებში, ან
იყო შეზღუდული სიმაგრეებში, რომელთაც
გარეშეში ერტყა კედლები და რომელნიც
სავსე იყვნენ ტალახით და უწმინდურებით.
მაშ ისიც არ უნდა გვიკვირდეს, რომ იმ
დროს სწეულება და შესაყარი სენი მილიო-
ნებს ავლებდა მუსრსა. ახლა შიმშილობას
და ხოლერობასაც ბევრით ნაკლები იხრება,
ვინამც წასულს საუკუნეში.

ჯერ ჩვენს დროსაც კი ქებას ვერ შევა-
სხამთ. „მშუსრავი სენი ახლაც არის: სატუ-
რა (cholera) და სიკვლე, ტიფი ანუ სახადი,
ანთება, ცუდ-ყვავილა, ყვავილი, სისხი ანუ მუ-
ცელა და ხოლერა. სიკვლეს იხრება მესხეთე-
დიდამ მესამედამდე; ლონდონში ეს სწეულება
ჰლუპავს 8—10 ათას კაცს ყოველ-წლივ. სახადი
და სხვა შესაყარი სენი ჰხრავს ზერმანიაში
წლითი წლად 300,000 კაცსა, ანგლიაში—
150,000, და სხვა ქვეყნებში—20—25 პრო-
ცენტს; მარტო ხოლერამ ძველის დროდგან
აქამომდე გაიტაცა 50—60 მილიონი.

„საზოგადოდ შევიტყუეთ, რომ ხალხის რი-
ცხეში ნახევარიც არ არის მთლიანად. ასიდან
თითქმის ოთხი ან კედება თავისი სიკვდი-
ლით, მოხუცებლობით. მაშ სადამე, მხო-
ლოდ ოთხი პროცენტი მიაღწევს ხოლმე იმ
ხანამდე, რომელსაც ყველანი უნდა მიღწე-
დნენ. ზანსაკუთრებით მრავალი იხრება ყმა-
წილებში. ასს ახალ-შობილებში ერთის
წლის შემდეგ ცოცხლად რჩებიან 70—80,
ექვსის წლის შემდეგ კი—30—40. შიმშილ-
კაცობაში 20 წლამდე მომეტებული იხრე-
ბა, ვინამც 80 წლის მოხუცებშია.“

მსტერლენი ბევრს რასმე გვიამბობს ამ სა-

განზე. მაგრამ მკითხველებისთვის იმასაც სა-
კმაოდ ეხადი, რაც ეთქვიო... შემდეგს ამ
საგანში საფუძვლიანად არის შეტყობილი, ესე
იგი მიზეზი. საქმე ეს იყო. ლონსიდების მი-
ღება ყოველს სწეულებაში უფრო ადვილია.
ჩვენს დროში მეცნიერებამ ლონსიდებაც უწი-
ვენა. ეს არის—ლიგენა, რომელიც საგნათა
აქვს მსტერლენს თავის შესანიშნავს თხუ-
ლებში: Человѣкъ и сохраненіе его здор-
овія. С. П. Б. 1863 г. რა არის ლიგენა? ლი-
გენა არის სწავლა სიმრთელებზე, ანუ მზრუნ-
ველობა სიმრთელებზე და კეთილდღეობაზე
არა თუ მხოლოდ კერძო პირთა, არამედ მთე-
ლის საზოგადოებისა და ხალხისა. ის მოპო-
ვების ცოდნას ბუნებაზე და ადამიანზე
ხმარებს იმისი სიმრთელის დასაცველად. ის
დიდ ბევრში ეწინააღმდეგება ძველის დრო-
დგან აქამომდე დაშინების ექიმობის ხე-
ლოვნებას. ლიგენა დაფუძნეს ბუნების გა-
მომეძიებლებმა, მოწინავე მედიკებმა. ლო-
ნის-ძიება, რომელსაც ის უჩვენებს, არის
ისეთი, რომელიც ადვილი მისახვედრია
ყველა ადამიანისთვის, ყველა ხალხისთვის.
ლიგენა გვიჩვენებს, რა მიზეზისაგან რა
სწეულება წარმოადგება; მაშ სადამე, თუ
გვინდა, რომ ესა და ეს სწეულება არ
გვეწვიოს, მაშინ თვით იმის მიზეზს უნდა ე-
რიდებოდეთ; ან, თუ სწეულება გვეწვია, მა-
შინაც თავის დროსვე მიზეზი უნდა მოვსოთ.
მართის სიტყვით, თვით ბუნება უნდა იყოს
ჩვენს ექიმად. მომეტებული ნაწილი წამლე-
ბისა, რომელთაც ეხმარებოდა, მანებელია, შა-
რლათანობა. ასეც ესმით ახლა მედიკნი
კეთილ-გონიერს მედიკებს. ახლანდელს დრო-
ში, რამდენათაც წინ არის ხალხი განათლე-
ბით, იმდენათ უფრო აფასებს ლიგენას იმისი
საზოგადოება, იმისი მმართველობა. იმათი
წესდება, სჯული, მმართველობის განკარგუ-
ლება სახალხო საქმეში, ლიგენის კანონით
იწყება და ფუძნდება. ამერიკის შეერთებულს
შტატებში, ანგლიაში და ზოგიერთს მერო-
პის ქვეყნებში დიდი მზრუნველობა საზო-
გადო ცხოვრებაზე და სიმრთელებზე: ცდილო-
ბენ, რომ ქალაქებში და სოფლებში სიწმინდე
იყოს, სადგამს სახლებში სიფაქიზე და სიმ-
შრალე, აბანოები გამარადდეს, გასასყიდი
ხორცი და ხორავი ძველი და დამალი არ
იყოს, მდინარე წყლები არსად გუბდებოდეს,
რომ ქაობები არ გაჩნდეს, ჰაერი არ გაფუჭ-
დეს და არ დამიმდეს, რომ მუშა ხალხმა 24
საათის განმავლობაში ფაბრიკებში და სხვა
და სხვა სამუშაო ადგილებში 8—10 საათზე
მეტე არ იშრომოს და ჯანით ის არ შესუსტ-
დეს. ადგილ-ადგილ განგებ დაწესებულია კო-
მიტეტები, რომელთაც მინდობილი აქვთ სა-
ზოგადო სიმრთელის დაცვა, და თუ სადმე
წლის განმავლობაში 23—25 კაცი კედება

ასიდან, იქ ისინი ექსპერტებს და მედიკებს
გზავნიან, რომ ადგილობრივ გამოიყონ მი-
ზეზი და იზრუნონ იმის მოსპობისთვის. წელს
მთელმა მეროპამ შეადგინა მცოდნე და სან-
დო პირთაგან კამისია, რომელიც მოსტან-
ტინეპოლს გაგზავნა, სადაც იმას საფუძვლი-
ანად უნდა გაერკვია მიზეზი ხოლერისა და
ნამდვილი ღონისძიება ეჩვენებინა ამ სენის
წინააღმდეგ. დიდი ხანი არ არის, რაც ამ კა-
მისიამ თავისი საქმე დააბოლოვა. რა შეიტ-
ყო, რა ღონისძიებაზე დადგება, მალე გამო-
ცხადდება. რა საკვირველია, უნაყოფოთ არ
ჩაივლის იმისი შრომა, როგორც ნაყოფოთ
არ ჩაუვლია ლიგენის კანონებს იმ მოწინავე
ქვეყნებში, სადაც კი იმის საფუძველს მისდე-
ვენ: იქ მრავალი სწეულება ან სრულებით
მოიპოა, ან შესუსტდა. ადამიანის საშუალო
ცხოვრებას რამდენიმე პროცენტი მოემატა...
იმედია, რომ დანაშთენს ქვეყნებშიაც დღეს
თუ ხვალ გავრცელდება ამ გვარი ღონისძიე-
ბა და მრავალი სწეულება შემცირდება, მრავალი მოიპოება.

შეაღმა ინებოს, რომ მალე მოვიდეს ეს
დრო, რომ ეს მადლი ღვთისა და მეცნიერე-
ბისა ჩვენს უბედურს ხალხსაც მოევიდნოს.
ეს იქნება რა საკვირველია: ექვი არ უნდა
გვეკოდეს. მეცნიერება ამოთ არა შრომობს.
ამ ლოდინში ჩვენ უნდა გვახსოვდეს,
რომ ახლაც თვითოეულს ჩვენგანს შეუძლიან,
თუ მოინდომებს, ბევრი სწეულება და უდრო-
ოთ სიკვდილი თავიდან აიცილოს. მივაქცევთ ამ
საგანს ყურადღებას კეთილ-გონიერის მკითხ-
ველებისა. ზანსაკუთრებით ჩვენი სურვილი
ეს არის, რომ დედებმა საფუძვლიანად შეითვი-
სონ ლიგენა და ლიგენის მოთხოვნებით
მოუარონ თავიანთს ჩილის შეილებს, რად-
განაც იმათ მომეტებული სიყვარული სწეულებ-
ა და სიკვდილი.

ზაფეთის „ძაგუზის“ № 79 იყო გამოც-
ხადებული უმაღლესად დამტკიცებული წეს-
დება ქ. ტფილისის საზოგადო სამმართველო-
ზედ. ეს წეს-დება ჩვენს გაზეთშიაც იყო გა-
დმოთარგმნილი. ამ წეს-დების ასრულებაში
მოსაყენებლად შთაფრების სამმართველოს
უფროსმა ინება დაარსება განსაკუთრებით
კამისიისა, თანახმად იმ უფლებებისა, რომელიც
მიანდო იმას ღიდა მთავარმა ნამესტნიკმა,
1866 წელს 7/8 ოკტომბერს № 249. შემო-
სხენებულს კამისიაში თავს-მჯდომარედ იქნე-
ბა ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი და
უნდა იმყოფებოდნენ შემდეგნი წევრნი: ა)
მმართველობის მხრით—ტფილისის ვიცე-გუ-
ბერნატორი, თავადი ჰაგუაძე, ტფილისის გუ-
ბერნიის სასამართლოს მრჩეველი (совѣтникъ)
აქიმოვი, ქალაქის ახლანდელის საზოგადო
მმართველობის წევრი მმართველობის მხრით

შველა დაფარულია,

მქვენი ავი კაცობაც

და გულის მახინჯობაც.

შუღით ყველას უყვარხართ,

შველას სანატრელნი ხართ.

მთუ ვისმესი ქსოვთ გული,

მქვენი დაწახეთ ფული....

V

შუღო! უცნაურ რამ ხარ!

საკვირველ თვისების ხარ:

რაც უფრო მეტა გზებდნენ,

მით უფრო მეტს განატრებენ,

სასმლით, საქმლით ძლებიან,

შველაფრით ბეზრდებიან;

მაგრამ, ფული, შენითა

მერგინ ენაზე გამძლარი,

სულ შენზე წუწუნითა

ბევრი კია დამწვარი.

ჯიბებს სულ შენით სტენენ,

აქედნიან, ვერ იმსებენ....

VI

შენის ბლომად ზოგისთვის,

შუღო, რას არ ჩადიან!..

სისხლსა სმენ ერთმანეთის;

საციმბიროთ ხდებიან;

ძმასა ძმა საფლავს უთხროს,

ქმას სულსა ჰყიდიან....

და თან შეუპოვრათა

სთვლიან ღვთის წალობათა

ამგვარ ავახაობით,

შუღო, სიმდიდრეს შენით.

VII

რაღა შენთან სჯული,

ადამიანის სული?..

მით წაშ აფიკრებ სულზედ,

მთელს სიცოცხლეს კი შენზედ,

შენთვის და შენზედ კენსით

ქაცა დღე უთავდება,

და, ფული, შენის ძალით,

ჰფიქრობს, კიდევ ცხობდება,

საწირავებს ბერს გასცემს,

.....

და ჰგონა ფულზე

სამოთხეშიც შეატყენს.

VIII

სულ ფული, სულ ეს არის!..

რა ცოდვის კითხვა არას!

ქაცის მთელი ღირსება,

ჰყუა, პატიოსნება,

სიმართლე, თუ ზდილობა,

.....

ბახდა ფული, სულ ფული,

სულ ფული, მარტო ფული!

და ესრედ კაცთ სიცოცხლე

დაეშვებას მოედანს,

სადაც ადამიანს,

როგორც ერთ ნივთს სწონამენ,

მარტო ჯიბებს უშინჯვენ,

და სხვებრ თვალ დაუშუღლი,

შუღზე თვალ დაჭეტილი

უსირცხვილოთ ვაჭრობენ,

შასა ეკითხებიან,

ასწვენ და დასწვენ

და მალეც ასაღებენ,

მთუ ფასში რიგდებიან,

ქაცა გინდა თუ ქალსა,

როგორც აქლემის ცალსა!...

IX

რა არ ხარ და რა არ ხარ!..


შუღო, ყოვლის მპყრობელი!

სულ ესთქვა, რასაც ჩადიხარ?..

ნება არ მაქვს, მკითხველო—

პაველ მუმანიშვილი.

1866 წ. ნოემბერს.



მედიკა-პოლი და ტფილისის გუბერნიის მართლმადიდებელთა მდივანი (секретарь) ზღაპრ-ბ) ქალაქის მცხოვრებლების ოთხის რი-გში: წარმოგზავნილი 1-ლის რიგისა: სტა-სოვეტნიკი თავადი ირაკლი მუხრან-ბა-ნი; მეორე რიგისა: კოლმეფის ასესორო-როვი; მესამე რიგისა: მოქალაქე აბრამ-ნოვი და მეოთხე რიგისა: მოქალაქე ივანე-ნოვი. ღანიშნულმა კამისიამ უნდა იმო-ღლოს ქვემოხსენებულის პროგრამისა მებრ-მელიც დაამტკიცა უმთავრესის სამმართვე-ლის უფროსმა, ამ თვის 24 რიცხს.

პროგრამა.

რომელიც ასრულებს მოიყვანს უმაღლე-ს დამტკიცებულს, 1866 წლის 11 აგვის-ტოს, წეს-დებსა ტფილისის ქალაქის საზოგა-სამმართველოზედ.

პირველი განყოფილება.

შედგენილება იმ კამისიისა, რომელიც წეს-დებს ასრულებსა მოიყვანს.

§ 1. ტფილისის ქალაქის საზოგადო სამმარ-ველოს წეს-დების ასრულებაში მოსაყვანად, და დარსდეს განსაკუთრებით კამისია იმ-ნიშნის ძალით, რომელიც აქვს წეს-დების 19. ეს კამისია შესდგება ტფილისის სამოქა-ლქო გუბერნატორის თავს-მჯდომარეობით და წევრისაგან, რომელსაც გუბერნატორი პარჩევს და ძვეკისის ნამესტნიკი დაამტკი-ებს.

§ 2. კამისიაში უნდა იმყოფებოდეს ოთ-სი წევრი მმართველობის მხრით და ოთხი-ათხუთი ქალაქის მცხოვრებლების ოთხის რი-გში, რომელნიც წეს-დების § 6 მოხსენე-ბულია: თითო რიგიდან-თითო წევრი.

მეორე განყოფილება.

კამისიის უწინარესნი შრომანი.

§ 3. ტფილისის ქალაქის ყველა ოთხივე რი-გის ამომრჩეველების სიები უნდა დაიბეჭდოს და გაიგზავნოს: ა) ყველა მმართველობის და-გვილებას (установления); აგრეთვე უნდა გაიგზავნოს: ბ) ქალაქის მცხოვრებლებს, და ამქრის უსტაბაშებს. ეს სიები იბეჭდებიან მთავრის სამმართველოს სტამბაში რიცხ-ბით: ორმოცდა ათი ეგზემპლიარი პირველის რიგისა, ასი ეგზემპლიარი მეორეს რიგისა, სა-სი ეგზემპლიარი მესამე რიგისა და ოთხას ორმოცდა ათი ეგზემპლიარი მეოთხე რიგისა. მთლად ცხრა ასი ეგზემპლიარი უნდა დაიბეჭდოს.

შენიშვნა. ამქარში პარტო მესამე და მეოთხე რიგის მცხოვრებლებს დაურიგებენ სიებსა.

§ 4. წინა პარაგრაფი მოხსენებულის სი-ების დარიგების დროს ყველა რიგის მცხოვ-რებლებს მიეცემათ და კედევ დაბეჭდილი განც-ხადებები ოთხი-ათასი ეგზემპლიარად იმ ფო-რმით, რომელიც აქვეა მიმატებული. ამ გან-ცხადების ძალით იმ მცხოვრებლებს, რომლებ-ც სიებში არიან გამოშვებულნი, თუ სურთ, შეუძლიანთ კამისიას გამოუცხადონ თავიან-თი სიმართლენი სიებში ჩასაწერად; ეს თავი-ანთი გამოცხადებანი ქალაქის მცხოვრებლებ-ს უნდა წარადგინონ კამისიაში, დღიდან სი-ების გამოცხადებისა, ორის კვირის განმე-ლობაში. გამოცხადებანი უნდა იყვნენ სიე-ის ფორმის და გვარად შედგენილი.

§ 5. წინა პარაგრაფში მოხსენებულნი გან-ცხადებანი იბეჭდებიან უმთავრესის სამმართ-ველოს სტამბაში, თარგმნით ქართულად და რუსულად.

შენიშვნა. ამ განცხადებების თითო-თო-სი დარიგების გარდა, ისინი კიდევ დაიბე-ჭდებიან ადგილობრივს გაზეთებში.

§ 6. როდესაც კამისია მიიღებს იმ პირების გამოცხადებებს, რომელნიც სიაში გამოშვე-რულნი არიან, მაშინ ის საზოგადო ყრილო-ბაში განიხილავს შემოხსენებულის პირების სიმართლეს და თუ მართლა სიაში ჩასაწერ-ნი არიან, აღთვა-ვიტის რიგით ჩასწერს იმათ ამომრჩეველთ დამატების სიებში. რომელს

პირებსაც სიაში ჩაწერის სიმართლეს არა აქვთ, იმათ კამისია პოლიციის პირით გამოუცხადებს მიზეზებს, რომლების გამო ისინი ვერ ჩაიწე-რებიან სიებში.

§ 7. მეოთხე პარაგრაფში გამოცხადებუ-ლის განცხადების მეორე გვერდზედ უნდა და-იბეჭდოს იქვე ნაჩვენების ფორმისამებრ, უმა-ღლესად დამტკიცებულის წეს-დებიდან გამო-ღებული ნარკვევი, რომელიც ხსნის: ა) ახ-ლად დაარსებულს ყველა საქალაქო დაწესე-ბულებებს პირების რიცხვის აღნიშვნით, რო-მელნიც ამ დაწესებულებებში უნდა ამოირ-ჩნენ; ბ) საქალაქო ამომრჩევის წესს და გ) პი-რობებს, რომლების ძალითაც საქალაქო თა-ნამდებობაში ამომრჩევიან თანამდებობის პირნი. შემოხსენებული ნარკვევი უნდა გადი-თარგმნოს ქართულად და რუსულად.

§ 8. როდესაც გათავადებიან უწინარესნი შრომანი, რომელნიც წინა პარაგრაფებში იყე-ნენ ხსენებულნი, გუბერნატორი აცნობებს ამას გენერალ-გუბერნატორს და აგრეთვე და-ნიშნავს დროს როცა ამომრჩევა უნდა მოხ-დეს.

მმართველობის განაჩარგულება.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წი-ნამძღოლის თანამდებობის აღმასრულებლის მიერ.

მისის იმპერატორების უმაღლესობის ძალისხილის ნამესტნიკის ბრძანებით ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ კენჭით აღრჩევა დაიწყება მომავალს 1867 წლის აპრილის ათსა.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წი-ნამძღოლისაგან.

შალათ ერაც მოვავანო უფალთ თავადთა და აზნაურთა ტფილისის გუბერნიისათა, რო-მელ, განსაზოგებლად ყოველისა მიუხდომე-ლობისა მომავალს კენჭით აღრჩევაში, საქირა-არის, რომ ყველას ჰქონდეს მხედველობაში განსაკუთრებით შემდგომნი მუხლნი კანონ-თავან: III тома о службѣ по выбор. 34, 35, 36, 37, 52, 54, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 87, 88, 94, 95, 96, 101, 102, 103, 104, 105, 117, 121, 122, 135, и 138, и XV тома зак. уголов. и исправит. 1959, 1961, 1966 и 1967.—

ნაქარლოში. Москов. Вѣдом.-ში სწერენ, 24 ოქტომბრად: ეს არის ახლა მივიღეთ ჩვენ ცნობა, რომ 23 ოქტომბერს გარდაი-ცვალა გენერალი ატინფანტერი, გენერალი ადლუტანტი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მუ-რავეივი, რომელიც ნამესტნიკათ იყო ძვეკ-სიაში.

გუბერნიის მმართველობა და იქისი დიდი ჯვარდნი ხალხის განათლებასთვის.

როდესაც კაცს თავისი ჭკუა და ჭკუისაგან მოპოებული მეცნიერება არ მსახურებს, მისი-თნა უძლური სულდგმული ქვეყანაზედ არ ჰოვება. იმას არა აქვს არა ფერი გარეგანი საშუალება, რომ მტრისაგან თავი დაიცვას და საზოგადო იზოვნოს. ჰოველი მხეცი ამ შემ-თხვევაში იმაზედ ძლიერია. მგელსა აქვს თბი-ლი ქურქი, ბასრი კბილები და მჩატე ტანი, რომ სიცოცხისაგან თავი დაიცვას, მტერი მო-იგვროს და საჩო მოიპოვოს. თურდელსა აქვს გძელი ყურები, გძელი უკანა ფეხებ-სა და მაგარი წინა-კბილები, რომ მტრის მიპა-რება შეიტყოს, ხტომით გაეცდეს და მაგარი ჯაგების წნელები თავის გასაყვებად ცოხნოს ხოლმე. ჩიტს ფრთა აქვს, რომლითაც ერ-თის ფეხის დახმამებას ცხრამთას გადირ-ბენს, ტყე-ველს მოივლის, საკენკს იზოვნის და ჭუქს გაიძობს. საწყალი კაცი ამ შემთხვე-ვაში კურდღელზედაც და ჩიტზედაც უფრო უღონოა. იმას არც ერთი შემოხსენებული იარაღთაგანი არ აბაღია. ის არ არის, როგორც

მგელი, ბუნებით გამოხვეული ბეწვის ტყავში, რომ ზამთარში სიცოცხე არ შეაწუხოს და ზა-ფხულში სიცხემ არ დასწვას შიშველი ტანი; არა აქვს ბასრი კბილები, რომ მტრის სისხ-ლის დალი დააჩინოს და ცხვარს ყელი გამო-სჭრას. ის ვერ გაიტყუვა კურდღელსავე და არც აქვს იმისი მაგარი კბილები და სტომაქი, რომ ნეკერით და ხის ფოთლით თავი ირჩი-ნოს. ის ვერ გაფრინდება ჩიტსავე, რომ ზამ-თარ იქ იცხოვროს, სადაც ბევრი, საჩოა და ზაფხულ იქა, სადაც ყოველივე საზრდო მწიფს და მწიფდება. აქი თავის სხეულის აგებულე-ბაში ვერ უჩვენებს იმისთანა მოწყობილებას, რომ იმით შეეძლოს, სხვა ცხოველებსავე, სი-ცოცხლის შენახვა. ამ მოწყობილების მაგიე-რად იმას აქვს სულიერი ძალა, ანუ ჭკუა, რომლითაც იმან უნდა მოიპოვოს ყოველი-ვე, რაც ბუნებით წართხელი აქვს. ბეწვიან ტყავის მაგიერად იმან უნდა მოქსოვილი და შე-კერილი ტანისამოსი იზოვნოს, ბასრის კბილების მაგიერად—თოფი, ბარი, გუთანა და სხვა მრ-ვალი სიცოცხლის დამცველი საშუალო; ჩქა-რის ფეხების მაგიერად—სახლი ხისა ან ქვით-კირისა, რომლის კარებსაც ვერა გარეგანი მხე-ცი ვერ შეამტრებს, თუ არ თვითონვე კაცი; ფრთების მაგიერად—ჩქარი ცხენი და კიდევ უფრო ჩქარი გემი და რკინის გზა, რომელ-საც შორს სიარულში ვერა ფრინველი ვერ შეედრება. მაგრამ ამდენი საშუალების გა-მომგზნას დიდი შემადგებული ჭკუა უნდა. ის უნდა იყოს მდიდარი გამოცდილებითა, ძალიან უნდა დაკვირვებულს ბუნებას, რომ მრავლის ნითვის დანიშნულება იცოდეს და ამ ნითვის მოხმარებაც უნდა შე-ეძლოს თავის სასარგებლოდ. როდესაც კა-ცის გონება გამოცდილებით და მეცნიერე-ბით ჯერ კიდევ პირვანდელს მდგომარეობი-დამ არ გამოსულა, მაშინ იმას სად ექნება ამდენი მიხედვა? უნდა ვიფიქროთ, რომ მა-შინ იმას ბუნების არა გაეგება. ჰოველი ბიჯი, მრუდეთ გადადგმული, მრავალს გაჭირ-ვებას შეამთხვევს ხოლმე. მარი, წვიმა, წყა-ლი, ცეცხლი და სხვა მრავალი, მისი სიცო-ცხლის წინააღმდეგი, მოვლენა აწუხებს ჭკუ-ით გაუხსნელს კაცსა, ჩაგრაეს და აზინებს იმის გონებას. ტყეში თუ შევიდა, იქ სხვა და სხვა ნადირი და ფრინველი მოძრაობს. ეს მოძრაობა იმას ხშირად მტრად ეჩვენება. ძლ-დში თუ შევიდა, იქ ერთი უეცრად მოგლე-ჯილი კლდის ლოდი დააფრთხობს იმას. ის გაიფიქრებს რაღაც ზოროტს სულზედ, რო-მელიც იმას სდევნის დღე ნიადაგ ამ ქვეყა-ნაში. აა რომ მოიღრუბლოს და ელვა და გრგვენა რომ გამოუშვას, მის გამოც საწყა-ლი კაცი ძრწის, რადგანაც წამის-წამს მე-ხის დაცემას და სულის დაღვევას მოელოს. ამ გვარის დაუწყარებელის მოქმედებითა ბუ-ნება კაცს უფრო-და-უფრო შეიპყრობს და წარმოდგენებს მრავალ-გვარს კუდიანებს, ეშმაკებს და ქაჯებს. საწყალის უმეცარის კა-ცის გონებით მთელი ქვეყანა ამ გვარის ბო-როტის სულებით არის ავსებული. ისინი არ აძლევენ იმას მოსვენებას არც შინ და არც გარეთ. ამ სახით კაცი მიეცემა ცრუმორწმუ-ნეობას. ეს ცრუმორწმუნეობა შეეზრდება ერთის შთამომავლობიდან მეორე შთამომავ-ლობას. ხალხი, რომელიც ამ გვარის დამფრ-თხალის კაცებისგან არის შემდგარი, ვეღარ ამდიდრებს თავის გონებას; ამიტომ რომ იმას ეშინიან ყოველის საგნისა: ტყისა, წყლისა, კლდისა, აედრისა, გრუხუნისა. ის ვერაფერს გულ-დამშვიდებით ვეღარ დააკვირდება, და თუ კი არას დააკვირდი, ვერც არაფერს შეი-ტყობ. თუ რომ არ გამოიძიე, არ აწონე და დაწონე რაიმე საგანი, რასაკვირველია არც გამოცდილება და სწავლა შეგემატება. რო-დესაც ხალხი ამისთანა მდგომარეობაშია, ის არის დამცრობილი ბუნების მკაცრის მოქმე-დებითა. ცრუმორწმუნეობა იმას არ აძლევს ნებას თავისი ძვირფასი საუნჯე—ჭკუა თავის-

უფლად მოიხმაროს. მინამ ის ამ გვარის მდგომარეობაშია, თავის ცხოვრებას ცრუმორწმუნეობაში, ამისთვის რომ იმისი გონება შე-შინებული და მიძინებულია....

ამ შემთხვევაში ბუნების მეცნიერება პირ-ველი საშუალებაა, რომ კაცს და აგრეთვე ხალხს დაკარგვინოს ცრუმორწმუნეობა. ის ახსნის, თუ რა რიგით თან-და-თან ირდევია კლდე ჰაერისაგან და წყლისაგან; ან ტყე რა-რიგს ცხოვრებას და მოძრაობას მიეცემა იმა-ში მყოფის სულდგმულებითა და უსულოთი. ის ახსნის გრგვენის მოვლენას, თოვლისმო-სვლას, ჰაერის ცვლილებას და სხვ. მაგნიტის ხალხს ბუნების სჯულს და ძალას, რომელიც მოქმედებს და დაბადებს სხვა და სხვა მოვ-ლენას. ამ რიგით კაცის გონებაც აღარ ერ-წმუნება ბოროტის სულის არსებობას; ის მკვი-დრად დაადგება იმ აზრს, რომ ქვეყანაზედ ქაჯების, კუდიანების და ეშმაკების მაგიერად მოქმედებს მხოლოდ ბუნების ძალა იმ წესით, როგორც ბუნების სჯულს შეესაბამება. იმას აღარ ეშინება ბოროტის სჯულისა და, უწინ რომ რამე მოვლენის გამო შიშით ირყეოდა, ახლა გულმგზრად უყურებს ამ მოვლენას. თვით იმ ძალას, რომელიც წარმოშობს ამის-თანა მოვლენას, ის დაიწყებს ხოლმე მოხმა-რებას თავის სასარგებლოდ; და აქედამ წარ-მოდინდება იმისი კეთილ-დღეობა. მაგალი-თად: მიწიდან და ზღვიდან აღის ჰაერში წყ-ლის ორთქლი. ეს ორთქლი ზევით იკრება წვირილ-წვირილ წყლის ბუშტებად და შეად-გენს ღრუბელს. შემოხსენებული ორთქლი, როდესაც წვირილ ბუშტებად იქცევა, დაბა-დებს ელექტრონის ძალას, რომლის გამოც გრგვენა და ქექა მოხდება ხოლმე ჰაერ-ში. ეს ძალა კაცს იხმარა ტელეგრაფის ძფ-ში და ახლა იმის საშუალებით ორია-თასს ვერსზედ ჩვენ ერთი-ერთმანეთს ველა-მანეთს ამბავს რამოდენისამე მინუტის გან-მავლობაში. შემოხსენებულივე ორთქლი კაც-მა მოაგროვა პატარ-პატარა თუჯის ქვებში და დაჰადა ასეთი ძალა, რომ იმას ერთის მხარიდან მეორე მხარეში რამოდენიმე ათასი კაცი გადაჰყავს ხოლმე რამოდენისამე საათის განმავლობაში. მართის სიტყვით ამ ორთქლის საშუალებით იმან გააჩინა რკინის გზა.

როგორც ზემოთ ნაჩვენების მაგალითიდან შევითყუებ ბუნების მეცნიერება გამოაფხიზ-ლებს კაცის შემინებულს გონებას და ბორო-ტის სულების მაგიერად ის გააცნობს ბუნე-ბის ძალებთან, რომლებსაც უწინ კაცი ჰყავ-და დამფრთხალი ეშმაკის სახითა.

ბუნების მეცნიერება ასწავლის კაცს, თუ რა რიგით უნდა მოიხმაროს იმან ეს ძალები თავის სასარგებლოდ. ის ათავისუფლებს კაცს ცრუმორწმუნეობისგან და უჩვენებს იმას მრ-ვალს სასარგებლო არსებას ბუნებაში. აი ეს არის უმთავრესი დეალო, რომლითაც ბუნე-ბის მეცნიერება მსახურებს კაცსა.

მართი უსაკვირველესი ბუნების მოვლენა ქვეყანაზედ არის სისხლის წვიმა და ცხო-ველის წვიმება. ამ მოვლენას ბევრჯერ შეუშინებია ხალხი, განსაკუთრებით სა-შუალო საუკუნოებში, როდესაც მეროპაში და სხვა ქვეყნებში ნაკლებათ იყო სწავლა გავრცელებული, და ხალხი საშინელს ამო-მორწმუნეობაში იყო ჩაფარდნილი. ამ გვა-რი მოვლენა მით უფრო შემადრწუნებე-ლია, რომ ზეციდან ცვივა თევზები, ბაყაყები, და ზოგჯერ შინაური ცხოველებიცა. ბაუნა-თლებელს ხალხს მით უფრო თავ-ზარი უნ-და დაეცოდა ამ შემთხვევაში, რომ არ იცო-და, საიდან არის იმისთანა საკვირველი მოვ-ლენა? ის აბრალებდა ამას ლეთის განჩისებებს.

1813 წელს იტალიის სამხრით, ძალაბრიის მხარაში, 23 მარტს, გამოჩნდა ერთი შავი ღრუ-ბელი, რომელიც ზღვიდან მოისწრაფოდა. რო-დესაც ეს ღრუბელი გადაეფინა ამ მხარას, თუმცა დღე იყო, მაგრამ დადგა ასეთი ბნელი, რომ უსან-

თლოდ აღარაფერი იხედებოდა. ჰერცოგმა შეიღება სისხლის ფრად და შემდეგ კაცს ეგონებოდა, რომ მთელი არე-მარე ცეცხლის ალმა მოიცავდა. ხალხს შიშისაგან ძალა წაერთო განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაუშვა სხვილმა წითელმა წვიმამ. შევლას ეგონა ზეცილამ სისხლი მოწვიმსო და, ეს არის, ქვეყანასაც მიეცემა დასასრულიო. როგორც მოგვხსენებდა მკითხველო, ამისთანა დროს სასულიერო წოდება კიდევ უფრო სასოებას უკარგავს. ხოლმე ხალხს, რადგანაც დაიწყეს ქადაგება ლეთის განრისხებაზე და ცოდვის მოწინააღმდეგე. მართის მხრით სასულიერო წოდებისთვის ამისთანა ქადაგება სასარგებლოც არის, რადგანაც ის ამ შემთხვევაში თავის ღირსებით უფრო დაიმსახურებს კაცის გულსა და სარგებლობაც ემატება... ამ რიგითვე მოიქცა სასულიერო წოდება იმდროს იტალიაში. მაგრამ ხალხს რაღა იმისი მხილება ეჭირებოდა! ის უიმისოთა სასოწარკვეთილებაში იყო ჩაფარდნილი სისხლის წვიმით!

ახლანდელს დროში ამ გვარი წვიმები აღარაფერს აკვირებენ. ბუნების მეცნიერებამ ახსნა, რომ ეს სისხლის წვეთები იგივე უბრალო წყლის წვეთებია, რომელშია მრავალი მეტად პატარა წითელი ცხოველები ცურაობენ...

1675 წელს ერთმა ბოლომდელიმ სწაველულმა შენიშნა დამდგარს წვიმის წყალში პატარა ცხოველები, რომელნიც კაცის თვალით არ შეიმჩნევიან, თუ არ მიკროსკოპითა (გამდიდებელის შუშითა, ჭიქითა). უფრო გვიან ყველა ამ გვარს ცხოველებს ჯარქვეს საერთო სახელი ინფუზორია.

ამ ცხოველებში ის, რომელიც ხან-და-ხან წვიმის წვეთებში იმყოფება, არის მეგლენა (Euglena). ეს ცხოველი მრავლდება დამდგარს წყლებში, ესე იგი ტბებში და იმ მდინარის უბნებში, რომელიც ძლიერ მდორეთ მიდის. მეგლენა წარმოადგენს ბუშტას; ბუშტს შიგნით სქელი წყალია და წყალს შიგნით კიდევ პატარა ბუშტია, რომელსაც გული ჰქვია. მეგლენას მხოლოდ ერთი ან ორი ღერი ბალანი ახსია. ამ ბალნის შემწვობით ის წყალში დასურავს. არც პირი და არც სხვა მოწყობილება არა აქვს. ის გავს ხეკო-შემოუკვრელ კვერცხსა. იმისი საზრდოა წყალში გამდნარი ნივთიერება, რომელსაც შეისვამს თავისი თხელის კანითა. მრავლდება ამ გვარით: შინაგული დაიყოფება რამოდენსამე ნაწილად, თითო გულის ნაწილს გარს შამოერტყმის სქელი წყალი და შემდეგ თხელი კანი; იმას გამოუა ერთი ან ორი ღერი ბალანი და შთამომავლობა მშთა არის, რომ დედის საშობადმ გამოვიდეს და წყალში იცხოვროს. როდესაც დედა მეგლენა გაიტენება ამ გვარის შეიღებთა, შემდეგ ის გასქდება და პატარა მეგლენები გამოცივნიან წყალში საცხოვრებლად. ამ რიგით რამოდენსამე დღის განმავლობაში ერთის მეგლენისგან შეიძლება რამოდენიმე მილიონი ამისთანა ცხოველი წარმოადგეს.

ახლა ეს უნდა ვიკითხოთ: ჰერცოგს საიდან ჩნდებოდა ეს ცხოველები, რომელნიც ხან-და-ხან ისე ბევრნი იმყოფებოდა წვიმაში, რომ ღებავდნენ იმას სისხლის ფრათა?

ამ ცხოველების ზეცაში ატანას ახრალევენ სმერისა ანუ ტრომბას. ზოგჯერ რომელსამე ღრუბელს უტყრად გაებერება და გაეშლება ზედა ნაწილი, ამასთან ქვედა ნაწილი უგძელდება და ძირში წვერს იკეთებს. ამ გვარი ღრუბელი თან-და-თან მსწრაფლად დაეშვება მიწაზე, ბრუნავს როგორც ციბრუდი და საშინელის ჩქარის დენით მირბის ერთის ადგილიდან მეორე ადგილზე. რაც რომ წინ დაუხვდება: ხეები, ცხოველნი, კაცი, ის ყოველს ფერს გლეჯს და ჰერცოგს აჰყავს. მართლაც სირიაში ამ გვარს სმერის აყვანა მიწიდან რამოდენიმე კატა, იმათმა ჭყავილმა და ჰერცოგს მოგზაურობამ საშინლად დაუ-

თხო იქაური მცხოვრებლები. თუ ამისთანა სმერის გზაზე დაუხვდა ან ტბა და ან მდინარე, მთლად ერთიანად ამოაშრობს და წარიტაცებს ტბების და მდინარეების ცხოველებს: თევზებს, ბაყაყებს, ჭიებს და ინფუზორიებს. მართლაც ამ გვარმა სმერმა მთელი ზღვის უბე ამოაშრო ქალაქის მრისტიანის მახლობლად, რომელიც მდებარებს ნორვეგიაში. სმერის ჩვენებურად გრივადი უნდა იყოს. მაგრამ ჩვენში გრივალს ეძახიან უფრო ქარს, რომელიც ბრუნავს და ხეებს მოთხრის. სმერის დიდ ხანს ვერ გასძლებს ხოლმე. ის გაიტრუნს რამოდენსამე ვერსსა და შემდეგ იქცევა მსხვილ წვიმითა. რაც ცხოველები და სხვა საგნები თან გაუტაცნია, ყველას ისევ წვიმასთან ძირს ჩამოყრის. შოტლანდიაში ბევრჯერ ცილამ ჩამოყრილა ხოლმე მრავალი ზღვის თევზები, რომელთაც მოუფენიათ იქ ზოგიერთი ადგილები დიდს სიფრცხვანად. 1815 წელს 13 დეკემბერს შრანციაში წვიმასთან იმდენი ჭიები ჩამოაცივდნენ მიწაზე, რომ ხალხმა ალაგ-ალაგ კოცონები ააგო ამ მატლების დასაწევლად, რადგანაც ძლიერ შევიწყნა, რომ სახლებში არ შესვოდნენ ეს მატლები.

ამას შემდეგ რასაკვირველია არაფერს ჩვენთან არ გაუკვირდება, თუ როდესმე ჩვენშიაც მოხდა წვიმასთან ცხოველების ჩამოცივნი და სისხლის წვიმის მოსვლა, რადგანაც გვეცოდინება რომ ეს ცხოველები მიწიდან არიან ატანილნი ტრომბასგან.

—თელი.

პოლიტიკა.

აშსტრია. ვენის გაზეთში Debatte სწერენ, რომ ავსტრიის იმპერატორის მოკვლის განზრახვა ტყუილი გამოდგა. როდესაც ავსტრიის იმპერატორი იყო ბოლშევიში, აი რას თქვა იმან: „ბული დამიშვიდეთ; მე მივიღებ პრაგმატ და ბოლშევიდამ და თან მიმაქვს ბევრი სასიამოვნო მოგონება; მე ვგონებ, რომ ამ საქმეში ან ერთი პირია მოზიარე, ან არა და ეს არის დიდი სიკრუფე“. პრაგის გაზეთები ამბობენ, რომ კაპიტანს პალმერს, რომელმაც ვითომც სიკვდილიდან გამოიხსნა ავსტრიის იმპერატორი, ამ შემთხვევაში დიდს ჯილდოს იმედი ჰქონდა. ის მსახურებს ანგლიის საფარო ფლოტში და დიდი ეალი აქვს. ძაბიტანი პალმერი იმპერატორზე უფრო ადრე გამოვიდა თეატრიდან. მოწმები, რომელთაც დამბა იპოვეს რამდენსამე მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც პალმერმა დაიჭირა ანტონ პუსტი, გვარწმუნებენ, რომ დამბა იმათ ფეხთან ეგდო იმპერატორის გამოსვლის წინათ თეატრიდან. მკერვალის შაგირი ანტონ პუსტი, რომელსაც შესწამეს იმპერატორის მოკვლის განზრახვა, კიდევ გამოუშვეს საპრობილიდამ.

დანი. პოპულარული, 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს). ნამდვილის წყაროდამ გვაცნობენ, რომ უწინდელს დანიის მინისტრ-პრეზიდენტს, ებსკოპოზს მონრადს, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ავსტრალიაში გადასახლდა, დიდი უბედურება შეემთხვა: იმას ფულები შეტანილი ჰქონდა ერთს ანგლიის ბანკში; ეს ბანკი დაიხურა და შეტანილი ფულები პატრონებს აღარ დაუბრუნა. ამ მიზეზის გამო ეს ებსკოპოზი შევიდა პრიკსიკით ერთს საეპრო კანტონში, რომელიც ახალს ზელანდიაში იმყოფება. ეს შესანიშნავი ამბავი დაბეჭდილი იყო მრავალს დანიის გაზეთებში.

იტალია. „Северн. Поч.“-ის კორრესპონდენტი იწერება ლავო-მაჯორიდან: „ტელეგრაფმა, რასაკვირველია, შეგატყობინათ თქვენ, რა სიხარულით და დიდის-დიდებულეობით გამოაცხადეს მენეციის მახრებმა თავიანთ სამშობლო იტალიასთან შეერთება. ამაში არას დროს ეჭვი არაფერსა ჰქონია; მაგრამ უმეტესათ ეს სიხარული გამოაცხადა მენეცი-

ამ, შინდა მარკოზის მედანზედ, როგორც შეიცავდა 40 ათას სულამდინ, იმ საღამოზედ მეორე დღეს რომ უნდა მომხდარიყო ხმების შეკრება, მთელი ხალხი ჯგუფათ დადიოდა და ყვიროდა: si! si! (ჰო! ჰო!). საკვირველია, როდის ისვენებს ეს ხალხი. მთელი დღე და ღამე ხალხი, საშინელის, გაგიჟებულის ალტაცებით, დადის ქუჩებში და ხმა გაუკმენდელათ შესძრავს ჰერს ყვირილით: „მარკოზს გაუმარჯოს! მაუმაჯოვს ერთობას! ამ ყვირილში არაფერ არიან დავიწყებულნი: არც ბარიბადლი, არც ჯარი, არც ფლოტი, არც განთქმული მამულის მოყვარე, გრაფინა ძამელო, არც მადონა (ლეთის-მშობელი) და არც თვით ზამომხსნელი (მრისტი). რაკი წმ. მარკოზის მედანზედ ანთეს უშველებელ შანდლებში გახვები, სანთლები და ბენგალური ცეცხლები, ხალხი ასეთ პატრიოტულს ალტაცებაში მოვიდა, რომ ვისაც ეს არ უნახავს, აღწერით ვერ წარმოიდგენს იმ ხალხის სურათს. თუმცა მენეციის ქალებს კანონით არა აქვთ ხმის მიცემის უფლება ამოჩვენებზედ, მაგრამ თავიანთის მოქმედებით ცხადთ აწვენდნენ ხალხს, თუ რა უდევთ გულში. ბანათლებულმა ქალებმა გაგზავნეს კაროლთან ტურინში ადრესი, რომელშიაც აცხადებდნენ თავიანთს ერთ-გულ-ქვეშევრდამობითს გრძნობას. შრანციულის გაზეთების კორრესპონდენტებს ჯავრი მოზდით, რომ ხალხი თავის ამისთანა მოძრაობაში შრანციას და ლუი-ნაპოლიონს არ იხსენებს, რომლის შეუწყენელობით, ვითომც, მენეცია ვერ შეიძლება შეერთებულიყო თავის სამშობლო მიწასთან—იტალიასთან. ხალხი ამ ჟამათ არ შევაპოლიტიკის და დიპლომატიის გაჩხრეკაში, და თუ ავსტრიის გენერალი ალონგანი უფრო კარგათ გააცილეს, ვიდრე შრანციის გენერალი ლე-ბეფი, ეს იმ მიზეზით, რომ ავსტრია კიდევ წავიდა იტალიიდან; მაგრამ შრანცია კი ჯერ კიდევ ცდილობს ზედაყიდრდეს, და იტალიის საქმეებში გაეროოს.

„აი რასა სწერს ერთი გაზეთის კორრესპონდენტი მენეციაში: „მოდრე მოგწერდენ იმაზედ, რომ ასწიეს ფლაგები (ბაირალები), რომელიც ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, რადგანაც გასაკვირველი და შესანიშნავი სანახავია, ვიტყვი, რომ მზე, რომელიც უმეტესათ ამშვენებდა ამ ჟამათ მენეციას, ანათებს უმშვენებრათ, ასე გონია თავის მხრით სურს უმეტესათ განათოს ერთი უმთავრესი ისტორიის შემთხვევა. ეს აუსტერლიცის (*) მზე არ არის, როდესაც უყურებდა დანოცილის ადამიანების ღეშებს, არა—ეს 19 ოქტომბრის მენეციის მზეა, რომელმაც დაარღვია წასული დრო და დამყარა მომავლის დროების დაწყება. დღეს ადრიატიკის დედოფალი გამოვიდა მონაობიდან და სრულის ხმით გალობს თავის თავისუფლების ღიმს. უშველებელი გული, —მთელი ქალაქის გული, ავსტალია სიხარულის ცრემლებით, ჩივილით და ტანჯვით. პიაცა (**) იყო გამსებული მრავალის ხალხით. რაკი საათმა ჩამოჰყრა, მაშინვე დაიწყო ზარბაზნების გრიალი, ზარების რეკა, და სამი ფლაგი ნელ-ნელა ასწიეს ისტორიულ წმ. მარკოზის კოშკის წვეტზე. ამის გარდა მთელი ქალაქი მოიფინა სამ ფეროვანს ფლაგებით.

— ბაირალების რიცხვი ათასი კი არ არის, მილიონია. შეიძლება ესთქვათ, რომ ისინი აბნელებენ მზესა, მეტადრე სადაც ვიწრო ქუჩაა. ეს ტყუილი არ არის, ბაირალები ათას ნაირია, სხვა და სხვა ფარჩისა და ფასისა ზოგი უშველებელი დიდია და 200 ფრანკამდინ

(*) აუსტერლიცი — პატარა ქალაქი მონავიაში (ავსტრიის იმპერიაში). აქ 1805 წელს, 2 დეკემბერს იყო დიდი ომი I ნაპოლეონის და ავსტრიელების და რუსების შორის.

(**) Piazza — ლათინურის სიტყვიდან platea — ქუჩა, ფართო ალაგია.

ღირს; ზოგი კიდევ უბრალო ქაშალოდ იყოს არის გაკეთებული. პატარა ნაჟი მონაობაში მოიყვანს ხოლმე იმათ. მაშინ კაცმა რომ შეხედოს იმ ბაირალებს, ასე ეგონება და ცხლგულანო და ენა ამოუდგათო. ბაირალები გადმოკიდებულნი იყვნენ გემებზედ და ნაგებზედ.

იტალიის ჯარის შესვლა იყო მეორე შესანიშნავი და სასიამოვნო მოვლენა. სერ-მონია დაიწყო პირველის საათიდან და გათვალა ოთხს საათზედ. რკინის გზის სტანციიდან. მარკოზის მედანზედ იყო დიდი ყვირილი და ტაშის-კერა. შევლა ფანჯრიდან იყო გამოკიდებული ბაირალი. შანჯრებიდან გადმოიყურებოდნენ გამხიარულებული ვენეციელები და აყრიდნენ ჯარს აუარებელს ყვავილებს ხალხის ალტაცება იყო ერთი გამოუთქმელი სალდათებს გულმა ვეღარ გაუძლო და ხალხის ყვირილზედ იმათაც ხმა მისცეს: „მაუმაჯოვს მენეცია! ლმერთმა ადღეგრძელოს ასე ლი იტალიის და!“. ძალებმა შორიდგან ბერსა ლიერებს კოცნა გაუგზავნეს. ბერსალიერს თავ-მომწონებით მიაბიჯებდნენ. ჯარებს ზეუძლოდა გენერალი ტაონ-და-რეველი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა მენეციის დილობაში.

ხალხის ალტაცება დაიწყო 18 ოქტომბერს და ამ რიცხვიდან თან და თან სუსტდება. მაგრამ ჩქარა მოვა დრო, როცა ხალხი ხელ-და-ხელა გაცოცხლდება და მიეცემა სიხარულს და ალტაცებას. ლმერთმა ქნას, რომ იტალიის ხალხს ტყუილად არ ჩაუაროს ეგოდენმა ალტაცებამ და სიხარულმა, და იმის ამდენ წლის მღელვარებას თავისუფლებისთვის მიეცეს კეთილი და სასიხარულო დაბოლოება.

ამერიკა. ნუ-იორკის გაზეთი გვაცნობს ვითომც ამ მოკვლეს დროში უნდა მოხდებოდა ამბავი. ეს გაზეთი ამბობს, ვითომც პრეზიდენტს ჯონსონს მიეწეროს უმთავრესი ატტორნისთვის შემდეგი კითხვები, რომელზედაც იმან წერილითვე უნდა უპასუხოს: „1) ახლანდელი კონგრესი, რომელიც მხოლოდ ჩრდილოეთის შტატების წარმომადგენლებისგან არის შემდგარი, კანონიერია, თუ არა კრებას სჯულისამებრ არა აქვს ჯეროვან უფლება და არც შეესაბამება კონსტიტუციას? 2) პრეზიდენტმა რომ თავისი წლის ეპისტოლეი მისწეროს იმ უკანონოს და კონსტიტუციის შეუსაბამოს კრების სახელზედ, რომელიც ახლა თავის თავს კონგრესად უწოდებს—ეს ამ გვარი მოქმედება შეიძლება თუ არა გამართლდეს გარემოების მოთხოვნილებით? 3) კონსტიტუციის პირველის მუხლის მეხუთე პარაგრაფი აძლევს თუ არა ნებას ორივე პალატას, რომ იმათ გამოირიცხონ ათის შტატის წარმომადგენელნი კრებიდან, ან მოიწვიონ ისინი მხოლოდ მაშინ, როდესაც დამოაჩივლებიან იმათის დამდაბლებელს და კონსტიტუციის შეუსაბამო პირობებს? 4) შიკისამებრ რომელსაც პრეზიდენტი აძლევს ხალხს თანამდებობის მიღების დროს, ვალდებულია თუ არა ის, რომ თვალ-ყური ადევნოს კონსტიტუციის იმ ბძანებას, რომლის ძალითაც ყველა შტატები მოვალენი არიან წარმოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი კონგრესში? რასაშუალება უნდა მოიხმაროს პრეზიდენტმა კონსტიტუციის და თავის ფიცის ძალით, რომ შეადგინოს იმისთანა კონგრესი, როგორსაც კონსტიტუცია ითხოვს.

ზემოხსენებული გაზეთი უმატებს, რომ პრეზიდენტი აწ ისე მოიქცევა, როგორც ატტორნი ურჩევს. ლენერალი ბირი ხელ-ახლა ამოაჩივს შილადელფის გუბერნატორად. იმან წარმოასთქვა სიტყვა, რომელშიაც პრეზიდენტის იმისთანა განმეინებულს მტარვალად უწოდებს რომ ისტორიაში არა ყოფილა იმისი სწორი ჯონსონი სიმტარვალით ნერონს გადაემეტაო. როგორც სწანს გადამეტებით ლაპარაკი ჩვეულებათ აქვთ შეერთებულს შტატებში.

პრეზიდენტსა და კონგრესს შუა ატყდა განხეთქილება შეერთებული შტატების კავშირის გადაკეთების გამო. ბასი ატყდა იმაზედ, თუ რა პირობით უნდა მიეღო განდგომილი სამხრეთის შტატები კავშირში და იმათი წარმომადგენელი კონგრესში. — სენატში და დეპუტატ-პალატაში აღმოჩნდნენ ბევრი იმისთანა პირნი, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ და იმათ უნდათ, რომ განდგომილის შტატებისთვის ყოველივე სიმართლე ჩამოერთმიათ და რამდენისამე ხნობით სამხედრო სასტიკის მმართველობით განგოთ. შემდეგ ამ გვარის სასჯელის იმათ სურდათ, რომ სამხრეთის შტატების ადგილობრივი კონსტიტუციური სჯული შეეცვალათ ამ სახით: რომ იქაურს კონსტიტუციას ყველა მცხოვრებლები შეერაცხა თანასწორად, რომ თვით ამერიკელებს და ნეგრებს თანასწორი სამოქალაქო და პოლიტიკური სიმართლე ჰქონდათ. მაგრამ ამ გვარი განზრახვა ამერიკის ხალხის უმეტესს ნაწილს არ მოსწონდა, რადგანაც ამ განზრახვის ასრულებით სამხრელები ღრმად შეიძულბდნენ შეერთებული შტატების კავშირის და სამხედრო სასტიკი მმართველობაც დიდხანს გაგრძელდებოდა დამორჩილებულს შტატებში. მერეს პუბლიკე პარტიის უმეტეს ნაწილს აბრაამ ლინკოლნის ზომიერი აზრი უფრო მოსწონდა. იმას უნდოდა, რომ განდგომილი შტატები დამშვიდების შემდეგ ისევ მიეღო ძველი შიშის ზოგიერთი პირობებითა. ამ პირობებს აზრით ჰქონდა, რომ მეორეთ აღარ ამტყდარიყო დამღუბელი სამოქალაქო ომი. თავდაპირველად ჯონსონსაც ამისთანა განზრახვა ჰქონდა. ამერიკის სჯულის გამოცემა კრებაც ამის მსურველი იყო; მაგრამ ამასთან ის ითხოვდა დამშვიდებულის შტატებიდამ იმისთანა პირობებსა, რომლებსაც ასრულებაც განთავისუფლებულის ნეგრებისთვის და თვით დამშვიდებულის შტატების კეთილდღეობისთვისაც მოუცილებლად საჭირო იყო. მაგრამ ჯონსონმა გააოცხადა, რომ სამხრელებისთვის ისიც კმარა, რომ კონსტიტუციას სრულებით დაუმორჩილდნენ. ამას შემდეგ იმას შეუძლიან როგორც უნდა, ისე წაიყვანოს თავისი საქმე.

ჯერ არავის არ ეგონა, რომ ჯონსონი ასე აშკარად გადუდებოდა ლინკოლნის და კონგრესის აზრს; მაგრამ მალე გამოჩნდა, რომ ის იყო სამხრელების მომხრე და არა რესპუბლიკელი. იმან გაიხსენა უწინდელი თანაგრძნობა თავის მემამულეებსადმი და რადგანაც გულში ჰქონდა პრეზიდენტობა შემდეგშიც, ამისთვის უნდოდა უკონგრესოთ გადაეკეთებინა საპოლიტიკო დაწყობლება სამხრეთის შტატებისა და ამით მოეგო იმათი გული შემდეგს ამორჩევაში. როდესაც კონგრესი შეკრება დეკემბრის თვეში, იმან გამოაცხადა უკმაყოფილება ჯონსონის მოქმედებაზედ, რადგანაც ჯონსონს უნდოდა მართლ თავისი ძალით გადაეკეთებინა ძველი. შე. ჯონსონი ამტკიცებდა, რომ ნეგრების მომავალი სეე უნდა მიეწოდოთ თვით იმ შტატების მმართველობას, სადაც ნეგრები უწინ მონებათ იყვნენ. ის ამბობდა, რომ კონგრესს არა აქვს ნება რაიმე განკარგულება მახინჯი ნეგრების შესახებ. მაგრამ სამხრელებმა აღმოაჩინეს ასეთი სიძულელი ნეგრებისადმი, რომ ისევე იმათ ჩაეარდოდათ ხელში ნეგრების საქმე, უეჭველია ისევე მონებათ გახდებოდნენ ისინი. ეს კონგრესს კარგათ ესმოდა და ამისგანა წინააღმდეგობა გამოუცხადა ჯონსონს. ის იყო უმთავრესი მაზნე ჯონსონის და კონგრესის წახუბებისა. პრეზიდენტი ჯონსონი და კონგრესისი. ამ ქვეყანაში მოხდა განხეთქილება პრეზიდენტსა და კონგრესს შორის. ეს განხეთქილება რამდენიმე თვეა მოხდა და თან-და-თან უფრო ძლიერდება. სისხლის რა ახალ — მარტონში, ანდრიუ — ჯონ-

სონის აღმშვიდებელი სიტყვები დასავლეთის შტატებში, გაბედვითი განზრახვანი, რომლებსაც იმასეე მიაწერენ, სხვა და სხვა პროგრამები, ორის კონგრესის შედგენილი, რომლებიც იყვნენ შილადელფიაში შეკრილნი და რომლებსაც ადგილობრივ შეკრილი მითინგები გადიდნენ, მკაფიო სჯა ამერიკელების გახეთქისა და ერთი-ერთმანეთის გამტყუება ლალატობაში, ყველა ესენი ერთის სიტყვით იყვნენ მიზნნი, რომ ამ ჟამთ ხალხი პეტად გაცეცხლებული და აღელვებული ისე აღიძრა, რომ ახლანდელს კონგრესში, აღმორჩევის დროს, როგორც ამბობენ იმას-დამგზავსაო, ეთომც ზეთი დაასხეს ცეცხლსაო. შეეცა ამერიკაში მცხოვრებლების ფიქრის არის, რომ შეიტყოს, რითი გათავდება ეს ბრძოლა, რომელმაც ამ ხნობით დიქირა უპირველესი ალაგი ამერიკელების ცხოვრებაში. ამ ბრძოლის გათავებაზედ არის დამოკიდებული ამ ახლის ჭეცხის უდიდესი რესპუბლიკის ცხოვრება და კეთილდღეობა.

რა იყო ნამდვილი მიზნები განხეთქილება ჯონსონის და მაშინგტონის კონგრესს შორის, ძალიან ცოტათ იციან ხმელეთედ. ის პირნი ჩრდილოეთის და სამხრეთის ამერიკაში, რომელთაც არ სურდათ ნეგრების განთავისუფლება, ლინკოლნის მოადგილეს მეგობრები გახდნენ; რაკი ამათ მოახდინეს ჯონსონის აზრების უცნაური ცვლილება, მაშინვე ჯონსონი ჩაიდგეს თავის ხელში და განგებ ისე გადარიცს საქმეები, რომ უნდოდათ უმთავრესი ალაგი მიეცათ ჯონსონისთვის, კონგრესისი კი სასაცილოთ გაეხადათ. იმათ ისე გადაბრუნეს საქმეები, რომ მოატყუილეს, შეაქდინეს მრავალი მერობის საზოგადოება და მიიხრეს ჯონსონის პოლიტიკის დასაცვლათ მრავალი ლიბერალები, რომლებსაც შეეძლოთ გაერჩიათ, რომელ მხრისკენ არის ქეშმარიტება.

კონგრესის უმრავლესმა ნაწილმა შეიტყო ამისთანა საშიშარი მდგომარეობა. ამისთვის გამოვიდა ბილი, რომ გაგძელებულიყო ვადა ბიუროებისთვის, რომლებიც დაფუძნებულნი იყვნენ განთავისუფლებულ ნეგრებისთვის, დაისინი (ბიუროები) იმოდენათ შეეწივნენ იმ საწყლებს აფრიკიდან მოყვანილებს. საქმეების იმავე მდგომარეობის გამო გამოვიდა ბილი, რომლითაც მიეცათ იმათ ეს უფლება, თუმცა მაგდენი არა იყო რა სამოქალაქო უფლება; რადგანაც ნეგრებს არა ჰქონდათ რჩევის უფლება, რომლის წინააღმდეგი იყო საზოგადოება, ამიტომაც სურდათ სამოქალაქო უფლებით ნეგრები გაესწორებინათ სამოქალაქო კანონებით ყველა მოქალაქეებთან და მიეცათ ის კანონების უფლება, რითაც შეიძლება დაცვა თავისუფლებისა და რომლის უარობა არავის მისცემს თავისუფლებას. ჯონსონს ძალიან ეწყინა ეს ორგვარი კონგრესის განყოფილება, რომლებიც უმტკიცებდნენ იმ აზრსა, რომ კონგრესის მტკიცეთ მიზნებს თავის გადაწყვეტილებას და აგრეთვე არა სურს საქმე დაუბოლოებლათ გაუშვას. ჯონსონმა წარმოთქვა თავისი veto, მაგრამ კონგრესისი არ დაუარა და თუმცა ბევრი წინააღმდეგები ჰყენდა, მაგრამ ეგ ორივე კონგრესსა დამტკიცა.

ახლა უნდა შევიტყოთ რა გასწორება, რომელმაც ანდრიუ ჯონსონი ისე გააცხარა, რომ მონდობა თავის ქვეყნის მშვიდობაშია შეერყია? გასწორება მოითხოვს, რომ კონფედერატების (სამხრეთის ამერიკის შტატებში მცხოვრებლები) ეალის გადხდა მთელმა მხარემ არ იკისროს და იმან გადხდა მართლ საფედერალო ვალი. მეორე გასწორებაში არის ნათქვამი, რომ ყოველივე პირი, რომელიც შეერთებულს შტატებში დაიბადა ან იქაური ქვეშევრდამელობა მიიღო, უნდა ირიცხებოდეს იქაურ მოქალაქეთ და ჰქონდეს ყოველივე სამოქალაქო უფლება.

ეს დაწყობილება იმ აზრით დაფუძნდა, რა აზრითაც მიიღეს ბილი სამხრეთ ამერიკის შტატებში სამოქალაქო უფლებაზე. რამდენჯერ წაგვიტოხავს ამერიკულს გაზეთებში, რომ იმ შტატებში, სადაც კი მონაობა იყო, არ შეიძლება ეპოვნა ადამიანს არც მსახული, რომელსაც ეს კანონები ეხმარა და არც ამ კანონების ამასრულებელი ჩინოვნიკები. არ არის დიდი ხანი, რაც წავეითებთ, რომ ოლიოს შტატში სხვა და სხვა ტომის კანონიერათ ჯგერ-დაწერილს პირებს ქენტუკის შტატში ჯარია გადახდევინეს. პონგრესს დაწესებინა თანასწორე უფლება ყოველ პირისთვის, რომ არა დროს არ შერყეულიყო ეს უფლება და ფედერალურს მმართველობას ყოველთვის დაცეცა.

მესამე სტატის ის განზრახვა ჰქონდა, რომ მოეხდინა კარგა დიდი ცვლილება კონგრესის მეორე პალატის წარმომადგენლებზე. მიღრე კავშირში განხეთქილება მოხდებოდა ყველა შტატი წარმომადგენელ ხალხზე თავის წარმომადგენელს მცხოვრებლების გვართ. თუმცა მაშინ ნეგრებს სხვა რიგ პირუტყვისათვის სახედნენ, მაგრამ კონსტიტუცია ნებას აძლევდა, რომ ნეგრი (მონა) $\frac{3}{5}$ თავისუფალ კაცთ ჩაერცხათ. რაკი ეს მონაობა გაუქმდა, ამისთანა დაწერილებით კაცის დაფასება აღარ შეიძლება: ყოველი განთავისუფლებული ამას-იქით მთელ კაცთ უნდა ჩაირიცხოს. აქედან კონგრესსა დაწესა ის კანონი და შეაგონა ამერიკის ხალხს, რომ ამის შემდეგ ყოველ შტატს კი არ უნდა ჰყენდეთ თავის მცხოვრებლების გვართ წარმომადგენლები, არამედ უნდა ირიცხებოდნენ იმეების ამომრჩეულებათ ისინი, ვისაც ხმის მიცემის უფლება აქვს.

არ არის გასაკვირველი, რომ ამ უკანასკნელმა დაწესებამ სხვა დაწესებებზე უმეტესათ გააჯავრა კონგრესის წინააღმდეგები, რომელთაც სურთ ამ დაწესების გამოცემა.

ამ დაწესებებმა მოახდინეს განხეთქილება კონგრესს და ჯონსონის შორის.

ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები. ბამბის მოსავალზედ ბევრნი სხვა და სხვა ნაირათ ლაპარაკობენ. ნოემბრის შუა რიცხვებში გავიგებთ ამ საქმის დაბოლოებას. სხვა ცნობებში, რომლებიც მოდიან ამერიკიდან ბამბის მოსავალზედ, სხვაზედ უფრო დასაჯერია, რომ წელს ბამბა ბევრათ ნაკლებ მოვიდა, მინამ 1859 წელს, როდესაც ბამბის მოსავალი ძალიან დიდი იყო. მართლ ერთს ტენესის შტატში ბამბა იმდენივე მოვიდა, რამდენიც 1859 წ. საზოგადოთ გამოიანგარიშეს, რომ მთელი ბამბის მოსავალი შეადგენს 1,835,485 ცალს.

ამერიკის გაზეთები ხან და ხან გვაცნობენ ხუარისტების მოქმედებას. თუმცა ეს ცნობები არ არიან სრულნი, მაგრამ ამ ცნობებიდან კაცი ცოტადენათ მაინც გაიგებს, როგორ მიდის ბრძოლის საქმე მესიკაში. ამ უკანასკნელ დროში გაზეთებში იყო მოხსენებული, თუ როგორ დაცა რესპუბლიკელების ღენერალი პორანე ქალაქს მოზატლანს. როცა პირველად რესპუბლიკელები მივიდნენ ქ. მოზატლანს, გარნიზონი არ იყო გამაგრებული და ამიტომაც ისინი კარგა ვერ გაუმაგრდნენ მტერსა. იმპერიალისტები სრულებით დამარცხდებოდნენ, თუ იმათ სხვა ჯარებიც არ მიშველებოდნენ.

საჭიროდ ერაცბთ მოვიხსენოთ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ახლა მესიკა. ამ ცნობებს გამოეკრებთ ჩვენ Courrier des Etats-Unis-დან: „სონორის მაზრა სრულებით მოშორდა მესიკის მაზრას. რესპუბლიკელების ღენერალი პესკიერმა სრულიად დაამარცხა იმპერიალისტები. სახელმწიფო ხაზინა გაკოტრებულია. შალაქის კასებში არ დარჩა არც ერთი გროში. ადმინისტრაციამ არ

იცის, რა ქმნას, და რა საქმეს შეუდგეს. შონორის საინტენდანტოს მოუვიდა მესიკის ჯარისკაცი, რომ აღარ აძლიოს ეოლონტერეს ჯანაფი. სიგლახაკე საშინლად ერცელდება. შონორის ჯარის გამოსვლა ახალს უბედურებას დაჰმართებს ამ მხარეს. მსანისი ხელიდან განთავისუფლების ღლე იდღესასწაულეს, მაგრამ ხალხი კი მოწყენილი იყო.

ამერიკა. ოკტომბრის აღმორჩევიანი Times-ის კორესპონდენტი შილადელფიად იწერება: „ამ თვის ამორჩევაში რადიკალებმა გაიმარჯვეს. პენსილვანიის შტატში რადიკალებს გამოუვიდათ 15 ათასი ხმა მეტი, ოლიოში-50 ათასი, ინდიანაში-15 ათასი იოვაში-20 ათასი. შეეცვლია, რომ ნოემბრის აღმორჩევი შილა, რომელიც მოხდება ნოემბრში და სხვა შტატებში, რადიკალები დასძლევენ თავის მოწინააღმდეგებს. ამორჩევის დროს ბრძოლა ძალიან გაცხარებული იყო. ამომრჩეველთ რიცხვი წინააღმდეგედ ბევრათ მომეტებული იყო. რადიკალებმა გაიმარჯვეს უფრო ამისთვის, რომ იმათ მხარეზედ გადავიდნენ ბევრნი დემოკრატები. რადიკალები უფრო სოფლებში სძლევდნენ თავის მოწინააღმდეგებს, მინამ ქალაქებში. ამ გვარი ამორჩევის დაბოლოება დიდი დამარცხებაა პრეზიდენტისა. თუ დემოკრატები ნოემბრის ამორჩევაშიც დამარცხდნენ, მაშინ იმათ არ შეეძლებათ დიდი შემწეობა აღმოუჩინონ პრეზიდენტს. მაშინ შეიძლება პრეზიდენტი კიდევ გადააყენონ და სამართალში მისცენ. მეგობრები ურჩევენ პრეზიდენტს, რომ მიიღოს კონსტიტუციის გასწორება და ამით გადაიცილოს თავიდან ეს განსაცდელი; თუმცა პრეზიდენტი ამ რჩევის წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ჯერკი არაფერს აკეთებს.

ბ ე ლ მ გ რ ა მ მ მ ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

ნოემბრის 15 (27) ოკტომბერს. ლენერალმა შერიდანმა მისწერა ჩრდილოეთის ამერიკის ჯარების სარდალს ბრაუნსელილში, რომ ის უეჭველად დაეხმაროს მესიკის პრეზიდენტს ხუარესს.

ხუარესი შემდეგშიც დარჩება მესიკის ლიბერალების მოთავედ. ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები აღარ მოითმენენ, თუ მესიკის იმპერიალისტებმა (იმპერატორის მომხრეებმა), ან ლენარალის ორტეგის და სანტა-ანნის მომხრეებმა ნეიტრალიტეტი დაარღვიეს.

ათინა, 22 ოკტომბერს. (3 ნოემბერს) (ტრიესტი). ძანდის სახალხო კრილობამ ადრესი გაუგზავნა საბერძნეთის კაროლს, რომელსაც სთხოვს შეამდგომელობას ოსმალის მმართველობასთან, საქრისტიანოს სახელმწიფოების შემწეობით, რომ ნება მიეცეთ ქრისტიანების ოჯახობის გადაყენაზე ძანდიდამ საბერძნეთს.

პიანბა, 24 ოკტომბერს (5 ნოემბერს). პეკინიდან (*) მოვიდა ამბავი, რომ შონორი ამ ომი გამოუცხადა პორას, რადგანაც კორეელებმა მოკლეს ორმოცი კაცი და ამათ რიცხვში შონორის ქვეშევრდამნიც.

კოსტანტინოპოლი, ოდესსით 25 ოკტომბერს (6 ნოემბერს). როგორც ოსმალის ოფიციალური ცნობა ამბობს, ადგომა ძანდის კუნძულზე თითქმის გათავებულია.

(*) პეკინი-ჩრდილოეთი დედა-ქალაქი ჩინეთში.



თუმცა სფაქოტებს არ მიუღიათ გამოჩენილი მონაწილეობა ადგომასში, მაგრამ იმათ მოლაპარაკება დაიწყო მუსთაფა-პირიტლი-ფაშასთან. ბერძნებმა მხნეობა დაკარგეს. მაგრამ გეარგუნებენ, ვითომც გაზაფხულზე ადგომა ისევ ახლათ დაიწყებოდა.

მენცია, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს). ღღეს, დილის 11 საათზე, კაროლი მიკტორ-მმანუილი შემოვიდა მენციაში და წმ. მარკოზის მოედანზე მიღებული იყო მენცეის პატრიარქისაგან და მცხოვრებთაგან. ქაროლი დაესწრო პარაკლისზე. აღტაცება იყო საზოგადო.

ბერძენი, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს). შვეიცარიის მმართველობამ მოსთხოვა მალენის კანტონის მმართველობას, რომ ათის დღის განმავლობაში გამოიძიოს, ხომ არ დასახლებულან იეზუიტები კანტონში. თუ ამ მოთხოვნის კანტონის მმართველობა არ ასრულებს, მაშინ თვით ის გამოიძიებას მიანდობს თავის კამმისარს.

ძანდაზე ადგომა გათავდა. ბუბერნატორათ იქ დაინიშნება აკიფე-ფაშა.

კოსტანბინოპოლი, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს). ძანდაზე სფაქოტების (*) წინამძღოლებმა იარაღი აიყარეს და მორჩილება გამოაცხადეს. საბერძნეთის ქვეშევრდომნი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ადგომასში, უკანვე მიდნან საბერძნეთში.

ძოსტანტინოპოლის მოიყვანეს ბევრი ტყვე საბერძნეთის ქვეშევრდომთაგანი.

ნუ-იორკი, 27 ოქტომბერს (8 ნოემბერს). (ატლანტიკის ტელეგრაფით.) უცხო-ქვეყნების საქმეების მინისტრმა სუარდმა მისწერა ანგლიის ელჩს მაშინგტონში ბრუსს, რომელსაც სთხოვს, რომ იმან შუამდგომლობა მოიხმაროს ფენიანების ამნისტიას, რადგან იმათი ბრალეულება პოლიტიკური ბრალეულებაა.

New-York-Times-ში სწერენ, ვითომც უკემბელი გაემგზავრა მესიკას, როგორც შერთებულის შტატების დესპანი პრეზიდენტ-ხუარესთან.

კოსტანბინოპოლი, 28 ოქტომბერს (9 ნოემბერს). ადგომა ანტიტაერში ოსმალის მმართველობამ დაამშვიდა.

რომი, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს). რომში მოვიდა გრაფი ძლარენდონი, რომელიც უცხო-ქვეყნის მინისტრად იყო ანგლიაში.

იტალიის მმართველობამ რომის საზღვრებზე შეაგროვა 60,000 კაცი ჯარი, რომელსაც თვალ-ყური უნდა ექიროს, რომ რევოლუციურმა პარტიამ ადგომა არ მოახდინოს.

რომის პოლიციამ დაიჭირა ტრანსპორტითა-იარაღით: ფიჭი აქეთ, რომ თოფ-იარაღი საზოგადოთ ყველა რომის მცხოვრებლებს აუკარონ.

პარიზი, 28 ოქტომბერს (9 ნოემბერს).

(*) ასე ეწოდებოდა სფაქიის მცხოვრებლებს. სფაქია ქალაქია ძანდაში. და მდებარებს მთა ადგილას.

ღღევანდელს საღამოს გაზეთში სწერენ, ვითომც ოთხშაბათს, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს), ყავა-ხანაში, რომელიც წმ. მიხეილის მეიდანზეა, დაიჭირეს ოხუთმეტი კაცი და იმათში უმეტესი ნაწილი სტუდენტები არიანო. ამ პირებს სწამობენ, ვითომც იმათ საიდუმლო საზოგადოება შეედგინათ.

29 ოქტომბერს (10 ნოემბერს). ბაზეთში la France აცხადებენ ღღეს, როგორც იწერებოდა ისპანიის ქალაქიდან ბიონიდან, ვითომც ბარცელონაში ხალხი ადგა ნარვასის წინააღმდეგ. ამისის დამწყები გენერალი პრიმიო.

ლონდონი, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს). ანგლიის ადმირალტეტისთვის გამოაცხადა, რომ 19 და 20 სექტემბერს (1 და 2 ოქტომბერს), ქალ. ნასაუში (ეს ქალაქი იყოფება ნუ-პროვიდენში, ბლამის კონძულზედ) ასტყდა საშინელი ქარიშხალი, რომელიც ორს ღღეს არ შეწყვეტილა.

პარიზი, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს). საღამოს მონიტორში სწერენ, რომ პარიზში დაიწყეს მოლაპარაკება იმაზედ, რომ შრანცია და აესტრია შეეცდნენ ერთმანეთს სავაჭრო ტრაქტატით; შემდეგ ეს მოლაპარაკება იქნება მენაში. მოიმედენი არიან, რომ ეს მოლაპარაკება მოახდენს სავაჭრო ტრაქტატის დამტკიცებას.

ბერლინი, 26 ოქტომბერს (7 ნოემბერს). სამინისტრო გაზეთში საპროვინციო კორესპონდენციაში სწერენ ღღეს, რომ ბარონის ბეისტის დანიშნა უცხო-ქვეყნის საქმის მინისტრად არაგისთვის არ არის სასამშრო და შესაძრწუნებელი, რადგანაც აესტრია აღარ ერევა ბერმანიის საქმეში, და თუ გაერევა, მაინც ვერას გაარიგებს და ყოველი იმისი ცდილობა ამ საქმეში დარჩება აუსრულებელი, მაშინ როდესაც პრუსსია ამით უფრო საჩქაროდ და გაბედვით გათავებს სანაციონალო ბერმანიის საქმეს.

თფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 9 ნოემბერს — 7 ნოემბერს მენგრიის სეიმი გაიხსნა.

11 ნოემბერს. ბუხარის ციხე ღოყუზახი 13 ოქტომბერს რუსების ჯარებმა იერიშით აიღეს. რუსების დევლა არის: 26 ბაირალი, 53 ზარბაზანი, მრავალი ქონება. 100 კაცზე ნაკლებია რუსების ზარალი.

8 ნოემბერს. ხელმოწეფ-იმპერატორმა უბოძა ალექსანდრე ნევესის ორდენი — გენერალ-ადუტანტებს; მარცოვს და კნაზს სეიატოპოლკ — მირსკის.

პეტერბურგი, 12 ნოემბერს. მესიქიდან გამოვიდა შრანციის ჯარების წინამძღვარი მარშალი ბაზენი. -ძონსტანტინოპოლში აპირებენ ახალის სამინისტროს შედგენას, რომლის თავი იქნება შუად — შაშა. პორტაში ემზადებიან კონსტიტუციის მიღებას. მგვიბტის პარლამენტის ყრილობა, ვიცე-კაროლის ბრძანებით, დაიწყო 6 ნოემბერს.

— ტინი სოვეტნიკი, თავადი ბაგრატიონ-

მუხრანსკი დაინიშნა სენატორათ სამმართველოს სენატში.

პეტერბურგი, 15 ნოემბერს. იმპერატორმა ნაპოლეონმა განუცხადა თავის დაახლოებულს პირებს, რომ იმპერატრიცა მეგენიამ განიზრახა წასვლა რომში და მოუგვიანდება იქ ორი ან სამი კვირა და შემდეგ ამისა შლორენციასაც ეწვევა. იმპერატრიცა იმ განზრახვით მიდის იტალიაში, რომ მოარიგოს ერთმანეთთან პაპა და იტალია.

— ბენერალ-ადუტანტი პრიქანოვსკი დაბრუნდა თურქესტანიდან ორენბურგს და იქიდან აცნობა ტელეგრაფით, რომ თურქესტანი სრულიად დამშვიდებულია; ბუხარასთან ომი ღღეს აღარ მოგვიხდება, თუ მირიმა ხელახლა არ აგეიტება ბრძოლა. პოკანთან (*) დამყარდა მკიდრო კავშირი. მრავალი ქარვანები მოდიან ბუხარიდან და მიდიან იქვე.

ძამისია, რომელმაც აღსრულებაში უნდა მოიყვანოს შმალლესად დამტკიცებული წეს-დება თფილისის ქალაქის საზოგადო სამმართველოზედ, საყოველთაოთ გამოაცხადებს, რომ ქალაქის მცხოვრებლებს, რომელნიც გამოშვებულნი არიან ამომრჩეველთ სიებში, შეუძლიანთ შემოიტანონ განცხადება რეა ნოემბრიდომ ოცდა ორამდე იმაზედ, რომ იმათ უნდა ჰქონდეთ ხმის სიმართლე მომავალს საქალაქო ამორჩევაში.

(*) პოკანი საშუალო ასიაშია. იმის გარეშეშეშე მდებარებენ სამშლოზღოვები რესუთისა, ჩინეთისა, ანგლო-ინდოეთისა, ბუხარისა და ხივისა. აქ მომდინარებს სირ-დარიის მდინარე. მთიან-ბაზიანი ადგილია. ჰავა აქვს ისეთი, რომ კარგათ მოდის ყურბენი, თუთა, და სხ. მცხოვრებნი 2 მილიონზედ მეტი არიან. პოკანში ცხოვრებენ თავენები, ყარაყალღები, ყირგიზები და ბურუთები. ის სახანა, და აქვს შემდეგი ნაწილები: შერგანა, ხოჯენტი, შრუთუთა, ნამა განი, მუ-რამო, ტაშენდი და აზრეთი. ღღე-ქალაქის სხელიც პოკანი არის: აქ ცხოვრებს 50 ათასი სული. 1853 წ. კოკანელები დაეცნენ რუსის მოსაზღვრე პოსტებს; მიზეზი ეს იყო, რომ გენერალი პეროვსკი იმათზე ჯარით წავიდა და პოკანის სიმაგრე აქ — მეჩეთი აიღო.

ბაქანება ქაპასისის ნამოსტენიის სამმართველოზე.

1 ნოემბერს 1866 წ. თფილისში. დაინიშნება: უმთავრესის სამმართველოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტში შტატ გარეთ მდგომარე კოლლექსი სეკოეტარი თავ. ნაკიშიძე-უმოლონომოჩენათ ხაზინის მხრით სამიჯნაო საქმეების გამო იმავე დეპარტამენტში (26 სექტემბრიდან). მსურვეთის უფლის ნაჩაღნიკის თანაშემწე ბუბერნსკი სეკრეტარი შენი-მსურვეთის უფლის პირველს განყოფილების მიროვის პოსტდენიკათ; უწინდელის თანამდებობიდან კი დაითხოვება. სიმონკოთის უჩასტკის ნაჩაღნიკი პოტუჩი თავ. ნიქარაძე-შოპანის უფლის მეოთხე განყოფილების მიროვის პოსტდენიკათ; უწინდელის თანამდებობიდან კი დაითხოვება. ღოკებით დაითხოვება: საზღვარს გარეთ, შრანციაში და იტალიაში 10 ოქტომბრიდან ორის თვის ვადით, ჯამაგირის ძლევიტ, მუთისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის სეკრეტარი, კოლლექსი სეკრეტარი თავ. თუმანიშვილი.

ხელმოწერილია: უმთავრესის სამმართველოს ნაჩაღნიკი, სენატორი, სტატს-სეკრეტარი

ბარონი ა. ნიკოლაი.

კამოპოპოტი ბანახადება.

თფილისის ნაწილში, ძაღლის უბანში, (Сочачья деревушка) იყიდება სახლი და იმასთანვე 240 საყენი მიწა, რომ ლიც ეკუთვნის ძონდრატენკოს. შასის შეტყობა შეიძლება შტაბის ფოტოგრაფიაში და „ღრობის“ რედაქციაში.

ბანახადება „სისპრის“ გამოცემაზედ

მომავალის 1867 წლიდან „სისპრის“ რედაქციაში მიიღებს უმთავრესს მონაწილეობას ანტონ შურცელაქე. აღთქმული გვაქვს თანამშრომლობა ბევრის ახალის მწერლებისა. სხვათა შორის ღმიტრი შიფანისაც, რომელმაც აღგვიტყვა მომავალის წლისთვის თარგმანი რომელთავე შექსპირისა და მოლიერის პიესებისა.

„სისპარი“ იმდოცნებს, რომ ის, ამ ახალს შერდგენილობაში ჟურნალში მონაწილე პირთა, უჩვენებს მკითხველებს მცირესაც არის სარგებლობასა, რაკი შეიძლება აწყო მდგომარეობაში

შასი ჟურნალისა ისევ ის დარჩება (შინ გაგზავნით შეიდი და ურისოთ ექცესი მანეთი). პროგრამას ჯერობით არა ეცვლით და მომავალი წელიწადი გვიჩვენებს რა ცვლილებაებიც არის საქირო, ან როგორ დავიჭიროთ საქმე, რომ გაეაუმჯობესოთ ჩვენი ჟურნალი.

ამას გარდა ეცდებით შეძლების დაგვრათ გაეცნოთ „სისპრის“ მკითხველები ახალს სამართლის ცვლილებებსა და იმის მოძარბოასა.

გიგლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა და გამოვიდა:

სახელმძვანელო

რუსულის მისი სასწავლოვალად ძართველ ახალ მოსწავლე ყმაფილბისთვის.

შედგენილი ბ. პ — შეილის მიერ.

შასი 1 მანეთი და 25 კაპ.

ისყიდება: თფილისში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში; სემენარიაში, უფ. იაკობ ბოგებაშვილისას. ქუთაისს — ბერასიმ ძალანდარაშვილისას.

მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ბოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში ისყიდება ახალი გამოცემული ძართული ანბანი, 3 გამოცემა, შედგენილი პ. შმიკაშვილისაგან. შასი ერთი შაური.

იბეჭდება და ამ ცოტას ხანში გამოვა ისტორია; ამავეი ძველ ღრობის სახეზაზედ.